

ବ୍ୟାକ୍ ପରିଚ୍ୟାତ  
ମହାଦେଶୀର୍ଷିତ

№3

ପ୍ରମାଣିତ ପରିଚ୍ୟାତ  
ମହାଦେଶୀର୍ଷିତ

1909



# ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ଧାନ

Digitized by srujanika@gmail.com



୧୯୦୯ ମେସର୍, ୧୯୦୯ ଫି.

५३०



## პირადი სი

I—აღდგომა.—ლექსი, დ. თამაშებიდას . . . . .	3
II—შემლილი.—სააღდგომო შოთხრობა ცხვირისა . . . . .	4
III—ღიღებული საჩუქარი.—(გაგრძელება) ვაჭა-ფშაველას . . . . .	9
IV—ნაგვიანევი ზიზილა.—ცხვირისა . . . . .	19
V—ქრისტე აღსდგა მაცხოვარი!—ლექსი დ. ედომზაშვილის 22	
VI—ყველის საჩივარი.—ივანელისა . . . . .	23
VII—ფურცარი და მისი ცხოვრება.—აპოლონ წელაძის . . . . .	32
VIII—გაუშაძლარი დათვი.—ლექსი, იგავ-არაკი ა. შანშიაშვილის . . . . .	37
IX—ზარები გუგუნებენ.—(თარგმანი) თ. საძაცლიშვილის . . . . .	39
X—ასანთის ამბავი.—(ადექსინდრე ალექსინგურისა, რესუ- ლით), ქლ. ანტონოვკისა . . . . .	43
XI—ნაპოლეონ ბონაპარტი.—შემობარი, თარგმანი თ. ბაქ- რაძისა . . . . .	48
XII—ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი.—შ. —სა . . . . .	52
XIII—მითოლოგია, ტროადას ომი.—ოშიანობის ღმურთია არესი ტრიადელებს ქრისტება ა. შიქაბურიძის . . . . .	60
XIV—გასართობი:—ა) ლილად ქცეული უზალთუნი,—ბ) რებუსი და აღსნა . . . . .	63



## აღდგომა



ლდგომის ზარს სხივ შეფრქვევით  
ეგებება მკეირცხლი დილა,  
მის წყრიალში თვით იმედი  
ჩაქარგულია — ჩაქსოვილა.

სულ სხვა გზნებით, მისწრაფებით  
იმსკვალება ჩვენი გული,—  
თვალ-წინ გვიდგას ერთობის და  
სიყვარულის მოციქული.

დრო და უამი გადის, მიქრის,  
ათას წლობით შეიცვალა,  
მაგრამ აზრებს, მისგან ნათესს,  
ვერ შემუსრავს ვერა ძალა.

—  
ალდგომის ზარს გულის თრთოლვით  
ეგებება მაშერილთ კრება  
და ეგზნებათ მით მომზელის  
იმედი და სასოება!... დ. თომაშვილი





## შეშლილი



თუ, ნაუ, ნაუ,—გაისმოდა უკუმ ბნელში ზარის  
გუგუნი და მშვიდ სოფელს როგორც სიმღერა  
სისოებით თავს ევლებოდა, სიხარულს ჰვენდა.  
ნაუ, ნაუ—თითქოს იდუმლად იმეორებდა სოფ-  
ლის განაპირს წყვდიალით მოცული მაღალი  
მთა და იმ მოძიხელით მის მწვერვალზედ მიძი-  
ნებულ ვარსკვლავთ თვალს წარა-ზარა ახელვი-  
ნებდა. სოფელი იმ წაშს სიხარულით შეჩრდი-  
ლებულიყო: აქეთ-იქითვან ხალხი სანათით ხელში მხიარულის  
ბაასით ეკლესიისკენ ეშურებოდა; შორს საითვანლაც მექო-  
ნების სიმღერა ყრუდ მოისმოდა, მომღერლებს ძალუ-  
ბი ყველით მრავალ მხრიდგან ეხმაურებოდნენ. მამლები,  
ჩოჩქოლზედ თითქო თავი გმირებად მიაჩნდათ,—ერთი ერთ-  
მანეთ კისერ დაძაბულები ყივილში ეჯიბრებოდნენ. ეკ-  
კლესიის გალავანი ხალხით უკვი გაკედილიყო, სადაც ვა-  
ტარა ბიქებს ვეებერთელა ჭია-კუონა დაენთოთ და მის გარ-  
შემო უდარდელად „კონა“ შემოეძახოთ. ის იყო მღვდელ-  
დიօკეფი გაჩალებულ კელაპტრებით და ჯვრით ლიტანიის  
შემოსაელ ელად გაემზადნენ, როდესაც ბიქებში „კონა“ შეს-  
წყვიტეს, ხალხთან ერთად იშვლიბეს ქუდები და პპრიალებუ-  
ლი სანოლებით მიშენენ მოძღვარს უკან. ეკკლესიის გარ-



შემო მეორედ უვლიდნენ, რადესაც გალავნის კატერიშვილიანე  
თებ შემოკარწიახებული ფუფე „უღდას“ ძაღილით შემოიჭრა და  
ხალხში ვიღასაც ძებნა დაუწყო. ხელში სამი კვერცხი ეჭი-  
რა; გულზედ, თითქოს აღთქმის ნიშნად, წნელით ქვა ჩამოე-  
კიდა. სახე ზოგჯერ სიხარულით უბრწყინდებოდა, ზოგჯერ  
კი, შებლ მოლუშული, მრისხანებით იცქირებოდა.

— ფიდა, სადა ხარ, ბიქო, სად გაიპარე, ფიდა! — გაიძა-  
ხოდა გაშეაგებით და ცველა პატარა ბიქებს მუდარით ეკითხე-  
ბოდა: — შეილო, ჩემი ფიდა ხომ არ გინახავთ, სად დამემა-  
ლოთ.

მის დანახვაზედ ცველის გული სიბრალულით ემსკევალე-  
ბოდა; ბევრი კი ლრმად ოხრავდა და, მწუხარების ნიშნად, გა-  
მალებული პირჯვარს იწერდო. — რაზედ მოუვიდა მაგ საბრა-  
ლოს, — ეკითხებოდნენ ერთი მეორეს და თან შეშლილს გა-  
ფაციცებით თვალს ადევნებდნენ. — რაზედ და უბედური რომ  
იქნება ადამიანი, იმაზედ. მაგ საწყალს პატარაობისას მართ  
რომ საბძელში გამოეწვა, შიშისეგან თურმე გულ-ყრა დას-  
ჩემდა, ებლა, ქალო, ი ერთი ბიქის სიკედილზედ აემთ სულმა  
თურმე დასხალა და აავსო უბანი ცოდვით. აქამდინ დაბმუ-  
ლი იყო და იმელამ ალბად გამოიპარა... დახე, დახე მაგ სა-  
ცოდავს...

— ფიდა, ფიდა — გამოსძიხა იმ დროს მათ წინ ფეფუქმ და  
კარებში მღვდელს რომ შეეხეხა, თითქოს შეკრთა, სწრაფად  
დამშვიდებული თვალები ჯვარს ღიმილით მიაპყრო, მღვდე-  
ლი შეაყენა, პირჯვარი გადასიხა და ჯვარს რომ ემთხვია —  
შენცა შვილოვო — წარმოსთქვა და, თავის გვერდით ფიდა რომ  
ვერ ნახა, ძახილით უკან გამოეშურა. წყლის ნაპირას, გალა-  
ვანშივე, პატარა ნიში ქოლგასავით გადაშლილ კაკალს შიგ  
გულში მაგრა ჩაჰურდა და სანთლებით გაჩალებულ მოჩეუ-  
ნუხე პატარა ტალღებში იმ წამს ცელქად იხედებოდა. მის  
გვერდით ბიქებს თავი მოყვარათ და ჩაჟირულ კვერცხებით  
ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ფეფუქმ შორიდან ლუჯ ხალათიან



ამ სიტყვებით გან პატარას კვერცხები ისეთის აღერისთ, ისეთის ღვთიურის ღიმილით გამოუწოდა, რომ უცხო ბიჭი ხმის ამოღება ვერ მოახერხა, მხოლოდ შექრთალმა, გაოცემულმა ხან ფეფეს და ხან ბიჭებს თვალებში ცქერა დაუწყო.

— შე საწყალო ფეფუ, ფიდას აქ რა უნდა, ფიდა არ იყო  
რომ მოვიკედა? აგრე შენი ფიდა, თქა წევს,—გამოეპასხა  
ერთი მოზრდილი ბავშვი და სოფელ ზემოდ მთის ძირს პნელ-  
ში გახვეულ სახაფლაოზედ სახრით უჩვენა. ამ სიტყვებზედ  
ცეცემ უეპრად უკან დაიწია, გაშტერებულს თითქოს რა-  
ღაც მოაგონდა — „მოკვდო“ — ჩუმად თითქოს თვის გულს  
ჩასძახა, ყელიდან წნელი ჩამოიწყვიტა, წყალთან მივიდა,  
თავზედ წყალი დაისხა და შემდეგ ფეხ იკრეფით, როგორც  
აჩრდილი, გალავან გარედ გამოეშურა.

— ფილა... ფილა... — გიოსმოდა თვალუწველენელ სივრცე-  
ში ფეხებს ძახილი და თან სასაფლაოსკენ იმ სიბრელეში, რო-  
გორც ნიავი, ისე მიჰქროდა. „შავ-ბნელი“ დიდის თვალებით  
მუნჯ სასაფლაოს ზედ გალზედ ჩამოსწოლოდა, მის გვერ-  
დით კი თეთრი გყელესია, როგორც მოწინააღმდეგე დარაჯი,  
სიბრელეს თვალში ამაყად ჩასჩერებოდა და ზეცას გუმბათით  
ატაცებული რაღაც „იმედზედ“ ორე-მარეს ულალადებდა. ნიავი  
ჰქონდა და საფლავებთან დარგულ ხეხილებს წყნარიდ არხევ-  
და. ირაერავა, როდესაც ძებნით დაჭან ცული ფეხე ერთ პა-  
ტარა საფლავს მიუახლოვდა, კვერცხები გვერდით შემოუმწე-  
რიდა და მის წინ დაჩირქილმა ტკბილი ალექსით ჩასძხა:

— ფიდა, შეიძლო, არ, დედა შენზა წითელი, ლამაზი კუტ-  
ცხები მოგიტანა, აბა დახედე.



ირგვლივ ამ წამს ყველა ისე დაღუმდა, ნიავიცათხევრული ქრთა, თოთქოს სცდილობდა ფეფესთვის ლაპარაკი, მშენებელები ლიდგან ამოსკვენილი ალერსი არ დაეშალა.

— ფიდა, შენ ვენაცვალე, ხომ არა გუივა, რას გატვ-რენილხარ, გიხარიან, დედამ წითელი კვერცხები რომ მოგი-ტანა? — ჩაეკითხა ლიმილით ფეფე, თავიზგან თეთრი თავშალი მოიხსნა, საფლავის თავში დაფლულ წოწლოვინა ქვას მოა-ხეია და თან განივრძო: — არ შეგცივდეს... მაგრამ, შენ ეი! რას გატვრენილხარ, რას მებუტები, შე გირის შვილო? ის არ მეყოფა, რომ გოგოებს აღარ უყვარვარ, მაგა შენიც, შენი გულისთვის, ცემითა მკლავს, ძალლივით ბოძხედ მაბამს. შვი-ლო ფიდა!.. შეჲკივლა უცბად ფეფემ, განრისხებულმა კვერ-ცხები საფლავზედ ფეხით მიანაკუება, შემდეგ თავზედ ხელი იტაცა და შეშინებულივით ზეშე წამოვარდა... იმ დროს სო-ფელში ზარას გუგუნმა ფერ მკრთალ რიერაეს ქრისტეს ილ-გომა აზარა და ლაცვარდ მთის წვერზედ შემოვრავნილ ნისლ-თან ერთად შეწირულივით ზეცას გასწია. ალსდგა ქრის-ტეო—ჩაისურჩულა ნიავმა და თვისევე მოტანილ მეჯუდის ლოცვა-შეუილს ტყის ღალადიც მიუერთხმავა. ქრისტე ალსდ-გომ, ულოცვიდნენ ერთმანეთს მინდერის ყვავილები და მზის შიკრიკს, ნათელ ცისკარს ცრემლით ალვისლნი სალაში უძღვნი-დნენ.

— შვილო, ფიდა, შეიბრალე დედა შენი, ფიდააა!..


— აააა!.. — გამოეხმაური იქვე ტყიანი მთა და ეს პოძახილი ფეფეს უკანვე ისე მიაგება თითქოს უხმობდა, გავიგონე, აქა ვარო. ფეფე შეკრთა, უეცრად მოტრიალდა, გადიდებუ-ლი თვალები მთას მიაპყრო და სახე გაპრშუინევებული მისკენ გაქანდა... მირბის ფეფე, მირბის და სიცილ კასკასით პაერ-ში ვიღასიც დაკერას ლამობს. იგერ ხევსაც მიატანა და მა-ლოლ კლდეს ზედ წვერზედ, როგორც შეელი, ისე მოეჭცა. ხევს გამდა ტყე დიდი დილა აღრიან ყორნებს რილათიც უმა-სპინძლდებოდა. მათი ყიდინი, ყრანტალი მათი ხევს გლო-



ვის ზარად ეფინებოდა. ტელევიზი ხელები ისე შეატრანსლიტერაციაზე კის უნდოდა ჰაერში შეფრენილიყო და თან ხარჯვისას უმატება მოიძახა — მოიცა ცელქო, მოგეწევოთ და კლდეს იქით კაბის ფრიალით, როგორც ისარი ისე დაეშეა. ყორნები ყრანტა-ლით წამოიშალნენ, ხევმა თითქოს ერთხელ ამოიგმინა და უცდებ ისევ სლუმლა ყრანტალი.

୩୫୦





## დიდებული საჩუქრო

(შემდეგი)



ოვორც-კი ინათლა, მამალმა,  
თოთქოს ქანდარაზე მჯდარი-  
ყოს, ჩამოფრენა დაპირა, მა-  
გრამ მეგობარშა გააძლითხილა:—  
ჯერ დრო ას არის, მშო საყვა-  
რელო, ჯერ ისევ დილაა, ათასი  
ჯურა ფრინველი და ნადირი ირე-  
ვა, ემანდ ხიფათი არაფერი შეგემ-  
თხდეს, მოითმინდ ჰატარა ხანი. მი-  
ლაგ-მოლაგდეს ცველა და მაშინ  
ერთად ჩივისეირნოთ დაბლა. იქნებ  
მოგშიედა, ვერ მეტყვი? აქ რას ვაკეთებ?...

— არა, სიშილით არა მშიან,—მოუგო მამალმა:—მაინ უ-  
აღრე აღვომა მიყვარს, გაელა-გამოელა სუფრა ჰაერზე.  
— სხვა? როგორ გაათენე ღამე, ჩემო კარგო? — ჰეთხა  
კოდალომ.



— კარგადა, — მიუფრო მამალმა, — ხოლო სიზმარეშიც ჭამია  
ლონა, დამატებირა: წუხელ ვითომ სიზმარეში ქათმებით, ა-  
ნერს ოჯახში ვიყავი, თავის დალონებას მიამბობდნენ საწყლე-  
ბი. დარღები ამეშალა, მეგობარო, დარღები...

— იმით ნახვასაც მოესწრები, ჩემთვის კარგო, ნუ დალონ-დები.

— Տաճ դա հոգու՞ն? Չի ուս, զբարպ-յո թուացնո. Տաճ ցալմացոյարցը ամ շուժածոյն օքցոլուս?! Չի ուս— շվետուրո-նոնուտ ջամփոյա յուրմա, ո՞ն մյուսի! Չութից թյ ոյ չոսաց, Յը-հացոն հասա Ֆեյլացած. Գացնեթորուան թյ ծուռս չալցենքո Նորհնչը յուրսա դա թու թեցաց և նեցա թիւսպելցեմ դա, ածա, օյցւան հա Շահպար Տախուլցեմ?— Ամենածած թամալո. յուրալուպ ոմեցւ սմլցցած, թյ Բացուցան, Նորհնչը ացոյութեմ դա ուսց ցարտարցու.

— ან კი რად გინდა, მევობარო, სოფლად დაბრუნება, ვვონებ, თავისუფლად ცხოვრება უნდა სჯობდეს სხვისა თვალწარმატებში ცქერის. მონობა განა საყადრისია შენისთანა ვაეყაცისათვის? მერე ისიც ადამიანის ხელში? ღმერთმა შშვილმა მისცეს: თუ რასმე გასიამოვნებს, ისევაც მალე ამოგაშეამებს. ხომ იცი ქარგად? ეგ კი არა, ღმერთს ზადლობა შესწირე, რომ თავისუფლებას ეღირჩსე. თუ ქათმებისათვის დასწუხდი, მაგ დარღსაც ეშველება: იმ ჭილაში ბევრია ქათაშე უკეთესი ფრინველი—ხოხბები, კაქტები, გნოლები და ტყის ქათაშა. იქნებ არ გენახოს ის ნაცარა, ჩემშე გრძელი ნისკარტი რომ აქვს. წიგუყვანო ტბაზე, ნახე რამდენი იხვი, ბატი, წერტ და სივითავი ერთი იხილე თვალით და ვნახოთ, თუ სულ არ დაგვიწყდეს სოფელი თავის ქათმებიანად... ეუბნებოდა კოდალა ჩაგონების კილოთი.

— ეჭ, შენ არ იცი, მეგობარო,—განაგრძო მამალმა: — არ იცნობ დედლებს, რა მშევნივრები არიან — ზღილობიანი, თავაზიანნი, როგორ მეალერსებოდნენ და სულ ხელზე მიქორქორებდნენ? რამდენი ამავი მაქვს იმათზედ, რამდენჯერ მიომნია იმათ გულისათვის, ერთხელ არწივსაც კი შევვებრძოლე.



შაშალი ჰკუებდა თავის ეძექაცობას და კოდალაც გურიანის მუზეუმის  
ბით ყურს უგდებდა.

ამ ტრანზის დროს იქვე, შორის-ახლო მუხაზე ჩხიკვი იჯდა  
და უკრ უგდებდა მცდობართა საუბარს... უპბად მამალს შემო-  
ესმა: „კრუუ, კა-კა-კაა“. მამალმა ყურები სცეიტა. ეს ხომ  
ჟარითმების ხმათ, იფიქრა, იქნება წამოვიდნენ ჩემს ხადებ-  
ნელად. ის იყო, უნდა გადამხტარიყო და მიმგებებოდა ქო-  
მებს, რომ იმ დროს მოვრდა ქორის მსგავსად დახულუზნე-  
ბული\*) ჩხიკვი, ისე ახლ კადუარა თავზე, რომ მუცელი და  
ფუხები ჯრული გადუსვა. მამალმა საცოდავიდ დაიყვირა  
და გაინაბა.

— ნუ გეტინდან, მეგობარი, ჩხიკვი იყო, ჩხიკვი.—უახ-  
რა კოდალამ და თან სიცილი აუტყდა, რომ ასეთ შახის და-  
ფახის პატრიონი მისი მეგობარი, ასე მხდალი და მფოთხალი  
გამოდგა. ჩხიკვი პირდაპირ ხის ტოტზე სიცილითა კვდებოდა.

-- ჩხიკეთი? უყურე ზაგ შეჩვენებულს! — წარმოსტვა შე-  
რცხვენილმა მამალმა: — მე მეგონა წიფლის ტოტი თუ დამე-  
ცა თავზეო! სად არის, სადა? მე ვაჩვენებ მაგის სეირსა, მაგ  
წუწყსა, მაგისა! ამ დროს ვაისმა ჩხიკეთის ჩხი, ჩხით იქვე ახ-  
ლოდან. მამალმა დაინახა-ა ჩხიკეთი, უნდოდა მისი დასჯა,  
მაგრამ ჩხიკეთი მარტად, მაღხაზად დახტოდა ხის ტოტიდან  
ტოტზე. მამალს ტყურილად შერჩი ფოთლებში ფრატუნი.  
ჩხიკეთის კვალს ამოოდ ეძებდა გაბრაზებული მამალი — იგი გაპ-  
ჭრია ქრთხ წამში.

— განა ლირს დევნად? ჩა შენი საკადრისია, მეგობა-  
რო! — ეუბნებოდა კოდალა.

— მოიცადოს, მომიცადოს, კიდევ ჩამივარდება ხელ-ში; კიდევ მოდგება ქაზალი მექუდის კარებზე, ხომ გა-გიგონია. გაგიხსარიან, ბეჭრჯელ ვაწრულუნე მე ეგ ევაზაყი, როცა წიწლელების შოსაპარაფად შემოიკრებოდა ჩვენს ეზოში;

<sup>\*)</sup> මෙරුයි සැප්ත්මැබරුල.



ბევრჯელ ვინუქე სიცოცხლე, თუმცა შემცდლო უმცირესი დამზესრიც. ვანუქე სიცოცხლე, არ გავიმეტე სასიკვდილოდ, რადგან მე სულგრძელი ვარ და, ვერ უყურებ, დღეს მასხა-რადაც კი მიგდებს? ობოლო, ვისა სცემ და ვინც გამზარდაო. ამას იქნით თუ ჩემივარდა ხელში, მოთმენა აღარ შემიძლიან, მოვკლავ ცემით, გეტყვი პირდაპირ, გავატიტვლებ, გავაძრობ იმ ჭრელ ახალუხს, მოვის პერანგს, მოვხდი თავიდან წითელ ფეს. დედიშობილა, თითივით ტიტველი უნდა გავუშვა. მოი-ცა შენა! მოკვლით არ მოვკლავ, რადგან მე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ვარ. ცემის კი არაფერი უშავს. —წარ-მოსოდეთ მამალმა.

— ან კი ლირს ცემად, დიდებულო მამალო,—უთხრა კოდალაშ, —განა მაგისთანა ლაწირაკებს თავი უნდა გაუყადორო?

— ჰომ, ეგვიპტის მართალია, მეგობარო,—სოქეა კვალიდ შამალში,—მაგრამ დაუსჯელად ამისთანა ყოფა-ქცევა არ უნდა დარჩეს. კეთილ-გონიერების თანახმად თუ მოვიქცევით.

— თუ მინტა და მინტ ვინდა დასჯა ჩხიკვისა მე აქ  
რას ვა კეთებ?

მე დავსჯო, მე, შენ არ გაგრძი.

იმ ღამინდელმა შამლის ყივილმა დიდი ცნობის მოყვა-  
რეობა იღდრა იმ არე-მარეში მცხოვრებ ფრინველთა და ცხო-  
ველებში. სხვათა შორის შელისაც ქსმა შამლის ყივილი, გუნე-  
ბაში იაშა და გასწია იქითკენ, საითაკ მაშლის ყავილი ქსმოდა.

გარიერაუზე მელია მამლისა და კოდალის საჯდომ ხის  
ძირის დაიბადა; პირში ღალა ექირა. მამალმა მალე შეასწ-  
რო თვეოლი და ხმა გაქმინდა. თვალები დახუჭა, თვეი დაჰ-  
ქინდორა—ნულარა ვნახავ მაგ წუწეს და წუპაქსაო. ბერი  
ოინი ახსოვდა მელისი, როცა შემოდგომობით დედლებთან  
ერთად მამალი ლელვებზე განისვენებდა; ბევრჯელ სტუმ-  
რებია მელია, ბევრი დედალი დაუთრევია, ერთხელ შემხტა-  
რმა ჯიჯლიბოში კუდის წვერიც კი მოახველრა; ბეწვი გის-  
წყდა, კინაღამ დაბლა ჩიმოაგდო. იქ სახეიროდ არ მოდის,

გაიფიქრა მამალმა. მელიამაც თვალი მოარიდა, ვითოშდა ცხადა  
რა ვხედავო.

„გამარჯობა, კოდლი-კიუ!“ მიესალმა მელია კოდალას.

— გაგიმარჯოს, მელა—ქურდო!

მელა კოდალას პასუხზე ტანში ურუანტელმა დაუარა. როგორ უბედავს და ქურდს ეძინის, ერთიც ვნახოთ ამოხ-  
ტეს და ორივეს დღეგაგვიმწიროსო, თანაც გაუკვირდა კოდა-  
ლას მამაცობა. ის კი არ იცოდა, რომ კოდალა და მელია  
შეხემრებულები იყვნენ, დიდი ხინია ერთმანეთს იცნობდნენ.  
კოდალას ხორცის მელია მაინც და მაინც არ ეწყობოდა, რა-  
დგან სანოვაგედ სხვა ფრინველებს უკეთესი ხორცი ჰქონ-  
დათ და, თუნდაც მოენდომა კოდალას ჩანადირება, ვერაფერს  
გახდებოდა: ხეზე ის არ იციდოდა და კოდალა დაბლა არ ჩა-  
ვადოდა. რა გაეწყობოდა? ისევე მეგობრობა არჩია. კოდა-  
ლამაც ეს კარგად იცოდა და მელის მასხირად იგდებდა...  
მამალი თვალის მაინც ვერ ახელდა, თავი მოიმძინარა.

— ეგ საიდან რა გიშოუნია, მელიკო? დაეკითხა კოდა-  
ლა, როცა მელიამ პირიდან მკედარი ლალღა დააგდო და ზედ  
თათი დაადო.

ეჭ, ეს საცოდავი, მკედარი ვიპოვნე. გული მომიკვდა,  
რომ იცოდე, რამოდენა ვიტირე ამის ცოდვით. ჯერაც თვა-  
ლზე ცრემლი არ გაშორებია... ამ ღრის მიმალმა ცალი  
თვალი ოდნავ აახილა და გადაპხედა მელის: იქნება ეს ის  
მელი არ იყოს, ჩემს დიასახლისებს რომ იტაცებდო, ღვთი-  
სნიერია ეწყობაო, მაგრამ მალე ისევ დახუჭა, რადგან მე-  
ლიას თვალების ცეცხლმა აუტრიუსა წარბ-წამწამი და თვა-  
ლიც დასწევა. „პოდა იმას გამბობდი, განიგრძობდა მელია:  
„ძალიან ბევრი ვიტირე, მკედარს ლალღას რომ წავადექი.“

— იტირე, შენ ნუ მომიკვდები, თვალებს დაითხრი-  
დი,— მიუგო კოდალამ.

— განა არ ვიცი შენი გულ-წვილობის ამბავი, ვიცი  
ბევრს იტირებდი: ეგ საკენკი ძმობილო, წიბრძანდი ოლეზე

იხვებს და ლალებს დაუყარე. ვის ელაპარაკები, ვის? მიუ-  
გო კოდალამ და თანაც გულიანად გადისხარხარა მდგრადი გადასაცილებელი

„რმერთო, რა ცუდია კაცს რომ ეხტიბარი გაუტყვდება, მიუგო მელიამ,—მაშ, არა გჯერამ მაშ ქვის გული მქონია? ჰენი ნებაა, ნუ დაიჯერებ და, აი, ეხლაც კი მენანება ეს ხა-ცოდავი და იცი ჩადა?

— რადა? აბი სთქვი, რად გენანება? — ლაცკიოზა კოდალა.

„იმიტომ მენანება,“ განავრცხო მელიამ: „რომ ჯერ ერთი ბარტყია, ჯერუა, სულ სამი თვისა არ იქნება, და მეორეც იმიტომ, რომ დამტირები თვის-ტოში არავინა ჰყავს საცოდავს. ევდო ოხრად ჩილაში და თავზედ ბუზები დასტრაილებდნენ. მოდი და ნუ შეგვეცოდება.“

— მამომან, პა-პა-პა!.. უთუოდ ახლა-კი დასაჯერი-  
სია, იმ სტევა კოდალამ: —როგორც გეტუობა, დამარხვის უპი-  
რობ და წირვისაც გიდგიუჩდი, არა?

„სწორედ! რატომ არა? მოვალედა ვრაც ჩემ თავს.“  
სთქვა შელიამ.

— მაშ წირვაში ჩვენ-კი ორ დაგვპატიებს? — დაუკითხა  
კვლავ კოდალა.

„დიდი სიამოვნებით,“ მიუგო მელამი: „მხოლოდ ვის თქვენ, მე მხოლოდ შენა გხედავ, კადლი-კიკოს?“ სთქვა-რა ეს მელამ სხვა მხარეს დაიწყო ცქერა, თავს ისე იქცრდა, ვი-თომ მამლის იქ ყოფნა სრულიადაც არ იცოდა.

— ვინ ჩვენა? — სთქვა გაკვირვებით კოდალამ: შეშ, არ იცი, რომ მე ერთი დიდებული სტუმარი მყავს?..

მამალი შეიშით იწურებოდა. გრძნობდა რომ იმაზე იყო ლაპარიკი.

„არ ვიცი, ვინ სტუმარი?“ წარმოსთქეა გაკვირვებით  
მელიამ.

— მაშ, დაივიჯერო, სუნი არ იგილია არაფრისა? ჰაი, დი-  
დი ფლიდი ხარ, ვინც არ გიცნობს, დიდი ჭორიკა! ორ თვე-  
ზე მეტია, შენ მე იღარ გამომლაპარა კეშხარ, ჩალა დღეს



დილით შეგიყვარდი! არა მჯერი, სტუურ და რა ვქნას ერცოგნიშვილი  
ბიძია, ვერ მომიტყუებ, ვერა და ვერა — მოუგო კოდალიშვილი.

„არა, ღმერთი, რჯული.“ ფოცულობდა მელია: „გზაზედ  
გამოვიარე და შეგხვდი. რაო? საკუირელია მერე?“

— ძალიან კარგი. მაშ, წუხელ განთიადისას არც სიუც-  
ხოვთ გალობა გამენია? — განაგრძო კოდალიშვილი.

„არაფრისაგან არაფერი.“ სთქვა მელიამ: „რაღასა მტან-  
ჯავ, მაწვალებ, თუ გყავს ვინმე სტუმარი, სთქვი და გაათა-  
ვი; გეპატიებით, მითქვამს და გამითავებია. მე მუდამ ასრუ-  
ლება ვიცი დანაპირებისა. მაინც რასა ჰმალივ, ვინც უწდა  
იყოს შენი სტუმარი, ისე მივიღებ, როგორც მამასა და შვი-  
ლისა“. სთქვა მელიამ.

— გეტყვი, ვინც არის და, ვიცი, გაგიხარდება კიდევ,  
ჰსთქვა კოდალიშვილი: — ჩემი სტუმარი გახლავს მამალი... ხმა გა-  
გიგონია? რას არ გაგიგონია, მეც როგორ ბრიყულად გეკი-  
თხები? ეი, დიდებულო მამალო, საღა ხარ! რატომ ხმას არ  
იღებ? — შეუძახა კოდალიშვილი. მამალი ხმას არ იღებდა. — საწყალი  
ნამჭავრია, წუხელაც ბევრი იმღერა-იგალობა, დაიღალა ძა-  
ლიან და მაგარი ძილი დაეცი ალბად. ბოდიში მოქადა კო-  
დალიშვილი.

„მამალი? უჟ, მაგის ღმერთის ჰირიმე, წამოიძახა მე-  
ლიამ. ვენაცვალე მაგის ჯიბლიბოში, ყანყრატოში. ვიცნობ  
და ეგრე? ძალიან ვაეკაცია... მაგის იღბლად მივლია, რომ  
იცოდე!“

— როგორ? დაეკითხა კოდალი.

„წერილი მაქვს მამალთან. დედლებშა გამოშატანეს.  
აბა, რომ მიწყრებოდი, შენ საკეთილოდ არ მოხვედიო. ნახე,  
რომ შენი სტუმრის იღბლად მოქსულვარ.“

დედლების ხსენებაზე მამალმა ორივე თვალი დააკყიტა:  
ლა-ა-ა!


— ხაიდან, როგორ მოხდა, რომ წერილი შენ ჩაგივარ-  
და ხელში? ჰკითხა კოდალი.

„გუშინ-წინ სოფელში ვიყავი, საქმე მქონდა. სოსეს  
ვენაზე შემოვიარე და, შენს მტერს, რომ მე სანახივი ვნახე:



ଡିଦି ଗଲିଯା ଓ ଶିଳ୍ପିଲି କେତମେହିସା: ଦାୟିବାନ୍ଧୁଙ୍କ ହେବ୍ରି, ଶିରିଜୁଣ୍ଡି  
ବା ଶିରିଜୁଣ୍ଡି ମାମାଲିନୀ; ଅଳାରା ଗ୍ରୂପ୍‌ବ୍ୟାକ୍‌ କିନ୍ତିଶି ମାନ୍‌ବ୍ୟାକ୍‌କିନ୍ତିଶି  
ଲକ୍ଷିନ୍‌ଶି ମାନ୍‌ବ୍ୟାକ୍‌କିନ୍ତିଶି. ଦାୟିବାନ୍ଧୁଙ୍କ ନିଃତି ପ୍ରଦେଶି.

— ଏହି, ଶେନିମା ମିଶ୍ରମ, ଶିଳ୍ପିଲିତ ତ୍ୟାଗିକିଳି ଦାନିକିରିଳି!  
ମିଶ୍ରମ କ୍ରମାଲୋମ ଦି ଶିରିଜୁଣ୍ଡି ଗ୍ରୂପ୍‌ବ୍ୟାକ୍‌କିନ୍ତିଶିକାରିବା, କାନ୍ଦିପା ମା-



ମାନ୍‌ବ ଏହିମାନ୍ଦି, କାନ୍ଦିପା ଦ୍ୟାଗିକିଳି କ୍ଷେତ୍ରବାନ୍ଧୁଙ୍କ ତ୍ୟାଗିକିଳି  
ଗାନ୍ଧି ଲାକ୍‌ଷ୍ମୀକିଳି ପ୍ରକାଶିତ କିମନ୍‌ଦିନିକିଳି. ଏହି ଗ୍ରେସିଲ୍, ମେଗନ୍‌ଦାରି,  
କାନ୍ଦି ମଧ୍ୟବିନ୍ଦୁମାନ୍‌ବ ମେଲିଗା? ଦ୍ୟାଗିକିଳି ତାନିକୁ କ୍ରମାଲୋମ ମାନ୍‌ବିଲ୍.

— ମେସିଲ୍, ମେସିଲ୍. ମିଶ୍ରମ ମାନ୍‌ବିନ୍ଦୁ ଶିଳ୍ପିଲିଲି କ୍ଷମାନ୍ତି ଓ  
ତାନିକୁ କ୍ରମାଲୋମ ବାନ୍ଧି ବ୍ୟାଲା ଓ ତାପାଦ ଶୈଖିକିଳି:— ମେର୍ରେ,  
କାନ୍ଦିପା ଏହିବା? ତାହା ଲମ୍ବାରିତ ଗଢ଼ିଲ୍, ଦାର୍ଶକିଲିକିଳି ମାନ୍‌ବିନ୍ଦୁ:—

სთხოვდა მამალი, თუმც მელიასთვის არ შეძლო სიხშენებულება  
ხედინა.

— „ოჲ, წამოიძახა გახარებ ულმა მელიამ: „მანდა ბძანებულებარ? დამენახვე, შე კი კაცო, რაღა ფოთლებში იმალები!... უშენობის მეტი არაფერი აყლით. წერილი გამომატანეს, ვინძლო, საითაც იყოს და არ იყოს, წერილი მიაწოდოვთ. ააა, არ ვიცოდი შეგხვდებოდი, თორემ თან წამოვიდებდი. სულ ერთია, მაინც ხომ უნდა წირვაში მეწვიოთ შენ და კოდალია, წერილს იქ მოგარომევ. . ნუ იდარდებ, კარგად იყვნენ ყველანი...“

— ჩა ვქნა, გერცვი და გეწყინება.—სთქვა კოდალიამ.

— არაფერიც არ მეწყინება. მიუგო მელიამ.

— სტუკი,—განიგრძო კოდალამ,—შენ ქათმები წერილს არ გამოგატანდნენ, არ მოგენდობოდნენ. რას იტყვი, ძვირფასო მეგობარო, ასე არ არის? მართალს არ ვამბობი?—მიუბრუნდა კოდალია მამალის.

— მეც ეგრე მგონია,—წილულლულა მამალმა:—და შეიძლება, რა ვიცი.

— როგორ თუ, რა იცი?! შენ არ მიამბე, შემოდგომობით ლელეცებზე ვსხდებოდით ქათმები და მელიამ რამდენიმე დედალი მოიტაციო? ეს ის მელია გახლივს, — წერილის მომტანი. უთხრა მამალს კოდალიამ ცოტა არ იყო მრისხანე კილოთი.

— შეიძლება, ის სხვა მელია იყო. ეს როგორილიც სხვა-ნაირად ლაპარაკობს, მობრალული, გულ-წილია ეტყობა.— ლუდლულებდა მამალი.

— ი კაცური კაცი და კაცური სიტყვა. წირმოსთქვა გახარებულმა მელიამ.

— რაღა სხვა? რის სხვა? გასწყდეს ამითი თოხუმი, მელია სულ ერთია: შევი, რუხი, თუნდ წითელი. მიკვირს, როგორ გულუბრყვილო ყოფილხარ, მეგობარო!... ნათქეამს რაღა კვალის კელევა უნდა, თითონვე იძხის, სოსეს ვენახზე შემოეიარეო! რა ესაქმებოდა, ერთი კაცში ჰკითხოს, რომ შემოიარა? მითხარით ერთი, გამაგებინეთ რა, ჯერის სასყიდლად იყო სოფელში? ლეინისა? საქონლისა თუ რისა? აბა,



რა საქმე ექნებოდა სოფელში კანტალიობის მეტი რჩულობით  
გაჯევრებული კოდალი.

— თქვენი თოსუმი გასწყდეს და გასაშუალებიცა ხართ, — ამბობდა განრისხებული, მელია, — ღმერთმა გაწყვეტოს თქვენი ჯილავი. ღმერთო, რა გასაჩენი იყო კოდალა? სულ იმათა- გან არის გადამშმარი ხეები; საბრალო ჩიტებმა ლამის არის ფუთოლს ველარსად შეაფარონ თავი. ისე გააჩინავეს ტყეები ფეხებისა და ნისკარტის ფხაკუნით. — მელიას ბეჭრი სხვა საყვე- დური უნდა ეთქვა კოდალასთვის, მაგრამ ამ დროს გაისმა შორი ახლო თოვების ჭაბა-ჭუხი, ძალლების ჟეფა, საყვირის ხმა. ეს ცუდი ნიშანი იყო, მელიამ დასტაცა პირი ლალლას და წონწლივით გაქრა.

თუ კოდალი არა, მამის უნდოდა გამოჰკიდებოდა უკან,  
ქათმების წერილის ნხვა ძილიან უნდოდა.


— ღმერთი არ გაგიწყრეს, დღვილიდან არ დაიძრა. მიკვირს, ღმერთმანი, ტყეში შეტი ჰქვა ყოფილია, ვიდრე სოფელში. შენს ჰქვაში ვითომ უნდა გაჰყვე მელისა და წერილი ჩიბიძრო, არა? ვამშე, ვამშე! სოჭეა კართლობ.

— զցոյքհոնքու, մալուան Ցոնը և հյածոնքու ամեացո Շեցուրպո, մալուան Ըարդուանաւո զար, Ցցոնքարո, Ցյոն ան ուսու: Տոնեանքու Տուրու Ուսուն Ցցոնքու Ցցոնքանը հուան.


## ვაკეა-ფშაველა

(ვერდევი იქნება)





## ნაგვიანევი ზიზილა



ემოდგომას არე-მარქესთვის თვისი ელ-ფერი უკვე დაეღო. ირგველიც მთა-ველ-ზედ მოტუსულ ბალასს მომაკვდავივით ფერი წასვლოდა; ყარ-ყარი ხეებს საშო-სელი კიდეც გახდოდათ და, ევას მშგავსად მორცხვთ და ტიტველთ, ქარის სისინ-ზედ თრთოლა გამჭონდათ. იქვე დი-დი რუ და ლობის ძირი ფოთლებს სა-მარედ გარდაქეცელდა; ამ სამარეში

ბევრ მკვდართა შორის ზოგიერთ მომაკვდავთ თუმცა თვა-ლები ულონობით ელულებოდათ, მაგრამ სიკედილს არად აგ-დებლნენ, მის სიძლიერეს თითქოს არც კი ეპოებოდნენ, და უკანასკნელ წავს მშფოთავ-ცელქ ნიავს იდუმალის ხმით ამას ეცედრებოდნენ:

— გიუთ ნიავო! გაძლიერდი, ნუ გვემასხრები. ალარ გვინდა შენი ალერსი,— შენი ჩურჩული; ის დრო წაეიდა, როცა ცელქობით გატაცებულნი, ჩვენც ბანს გაძლევდით და ვშრიალებდით.

ეხლა დაგვპერე, გაძლიერდი, შენ გევედრებით, დაგვპერე მედგრად, აგვიტაცე მალლა ჰაერში, რომ სიკედილის ეამს კიდევ ვახილოთ ლაერვარდი ცა, მშეენიერი ცისა კამარა.

მიურუებული იმ წამს ნიავი თითქოს უსმერდა კომიტეტი. ვედრების; ერთს დაპქროლებდა, დაპგრიალებდა უმწერი უკავშირი თლებს და პროწიალით მალლა ჰაერში იმისათვის ფრიალებდა, რომ შემდეგ სადმე უფსკრულ ხევ-ხუვში, ან ტალახში სამუდამოდ ლრმაც ჩაემალა... და სწორედ იმ დროს, როცა ბუნება სიცივისაგან იყრუნჩხებოდა, ნაგვიანევი მინდერის ზინილა ქარის სისინზედ, იქევ რუს პირიად, საცოდავად იშმუშნებოდა. თითქოს განგებას საუბერუროდ იმისათვის გამოიტყუა, რომ ჯერ გადუშლელ, მოიმედე ნაზ კუკრისათვის შემოდგომის სუსსს ერთ წამს სული ამოებუთა. იდგა ნორჩი, მარტოდ მარტო, დაობლებული და შიშისაგან ქარის გრიალზედ მდუღარება გადმოსდიოდა. მხოლოდ კი როცა ქარი ხარხარით საღმე კლდის ძირის იმაღებოდა, იმ არე-მარეს მისი ღალადი ამ სიტყვებით ეფინებოდა:— „შეჟო ძლიერო! შემიბრალე, შეიბრალე ჩემი ობლობა! ღმერთმა ხომ იცის და, შენც თვითონ, ბრწინვალე მზეო, ბრალი არა მაქვს, რომ დავიბადე ასე უდროვოდ, ყოვლად უმწეო. იმ ამ ულმრთო ბუჩქის ბრალია; საუბედუროდ, მის ქვეშ ჩათესლილს ხშირი ფოთლები შენს ძლიერ სხივებს, როცა დრო იყო, არ მავარებდნენ და მხოლოდ ახლა, როცა დამჭერიარი, დროს გადასულნი ძირის ჩამოცვივდნენ, ჩამომეცალნენ,— მეც სითბო ვიგრძენ, ამოყვავ თვივი, მაგრამ იმ დროს კი, როცა ჩემგან შორს გადახრილხორ, ვერა გხედავ მე, უბედური! მხოლოდ შენს ნაცვლად, ძლევა მოსილო, შევად გაფანტულ ლრუბლების ნაფლეთს, გულ გასახეთქად მივაპყირ თვალი. მშეო ძლიერო! მე სიცოცხლე მსურას, მაგრამ უშენოდ, ამ ბნელ წყვდიადში, რით ვიხერიო? მზეო იმედო! შენს სანახავად გული მეტანჯვის, მაგრამ ამაღ—ვერაფერს გაეხდი, თავი მეტყინა ამდენ ტრიალში. ისიც ხომ იცი, რომ გზა არ ვიცი—ამომავალს წინ მოგევებო, შემოგტირო ჩემი ვარამი და წმინდა ცრემლი უღონობისა ბრწყინვალე სხივებდ სხვა და სხვა ფერად რმისათვის ავათამაშო, რომ წამს ილგზნილი, ეს ნაზი გუ-





ლი მით დავამშვენო—გავალიამაზო. შენ კი, მზეო, იქვემდებარები  
უკლი და ბევრს შენს გზაზედ აღმოცენებულს ნათელნა ჰუენ—  
აბელინიერებ. მეც შემიბრალე, შეიწყნარე ჩემი ღალადი, მეც  
მტყორუნე სხივი ძლევა მოსილი, რომ გადვიშალო, გადვი-  
ფურჩქნო ნორჩი და ნაზი; მეც მინდა ვიყო შენით ლამაზი;  
მინდა, რომ შენგან შთენილ სინათლით ხრიოკი არე მე და-  
ვამშვენო და ამ წყველიადსა, ვითა სანთელი, მკრთალი ნათე-  
ლით ზედ შეველით და გაზაფხულიც ჩემი მშვენებით არ და-  
ვავიწყო—მუდამ ვაგონო... თორებ მოვკედები გადაუშლე-  
ლი, სასტიკი რთვილი დღეებს მომისპობს, სიკვდილი ულმრ-  
თოდ დამკიცინებს, ფეხ ქვეშ გამოელიავს. მზეო ძლიერო! გუ-  
ლი მიკრთის, ვეშინიან, მომხედე ჩემირა...

ცქვიტი.



— ართო ასიანის ართო  
— მოსახული იცია იყ რაჭან ურა  
— ართოდის იმ მისტი მემინა  
— ართოდის იმ იმა ადგი





## ქრისტე აღსდგა, მაცხოვარი!



იშ, რა დღე... მზე ბრწყინვალებს,  
თავზე გვაფრქვევს ოქროს სხივებს.  
მაღლა ცაში მეტცხალი ჰურენს  
და იულერებს ჩანგის სიშებს...


ჟველა ჰეთრობს... მოკეტლუცობს...  
ზეიშია არ-საღარი.—


სჩანს გულს ჩასწვდა არე-მარეს:  
„ქრისტე აღსდგა, მაცხოვარი!..“

წყარო მოსჩქეფს, „ქრისტე აღსდგას“  
ჩასწურისულებს ტურფა იას;  
და ბულბულიც იქვე, ბუჩქში  
მგზნებრალ უსტვენს „ტია-ტიას“...

ჟველა ჰეთრობს... ვარდი, ია,  
ბულბული და ანუი წყარო,  
ასხმენ ქებას მაცხოვარსა...  
დადგა უაში სანეტარო!...


დ. ელიოზიშვილი





## ევავის საჩივარი

„კეთულა, უვანჩალოა,  
უვავის დედა დამხრევალაო!“



სემც მტერი შეგიწუდესთ, როგორც  
ჩვენ ზამთარი გვაწუხებს ხოლმე!

შეიძოსა თუ არა მიღამო ფუნთუ-  
შა თოვლით, ჩვენც სიმშილმა გვტა-  
ცა ყრონტრში ხელი.

მერე იცით განა, რა არის სიმშილი?

ბრძ! საშინელი თავზარდამცემი მოვლენაა: ჯერ კუჭს  
აგიწვავს, მერე ძალლონებს გამოგილევს, სუნთქვას შეგიმოკ-  
ლებს, სისხლის მოძრაობას შეიჩერებს, სურვილებს მოგისპობს,  
ძილად მიგაგდებს და კიდეც მშეიღობით, ცოლო და შვი-  
ლო!...

არა, ღმერთთან მართალი სჯობს, ჯერ-ჯერობით არც  
იმდენად გამჭირებია საქმე. მხოლოდ როცა წარსული წე-  
ლი მომავლენდება, უუუ! ერუანტელი დამივლის ტანში. ვინ  
იცის, რამდენი ჩემი მონათესავე იმსხვერპლა შარშანდელმა  
ზამთარმა?!

აი, სწორედ ის უვავის დედა, რომელიც თქვენ, პატა-  
რებო, დამხრევალი გვევონათ, კი არ დამხრევალი, სიმშილმა  
გაგულა.

მერე იცით, ვინ იყო? — საცოდავი და ნეტირული კულტური  
დედა ჩემი, ჩემზედ და ჩემს და-ძმებზედ დიდად წიაშვილი და  
მთელი ოჯახისათვის თავდადებული.

ემ, დაილოცოს განვება! თქვენ, ჩემი მტერ-მეგობრები, მიცვალებულებს შენდობის უთვლით, საუკუნო ცხოვრების პლიტებით საქიოს, სამოზეში... ჩვენ ვერც კი ვძედავთ ამ გვარ თუნებას, რადგან თქვენგანვე გვსმენია, რომ მხოლოდ ადამიანისათვის მიუნიკებია ბუნებას უკვდავებათ და ჩვენ, აბა, სად შეგვიძლია თქვენის დიდებულის ჭკუა-გონების განმარტონება?

დიალ, დიალ პატივსა ესკუმ აღმიანის სრულ კუთ-  
გონებას, მაგრამ ერთი რამ ას მიჯდება ამ ჩემს მოკლე კუთ-  
ში. იყიდ აა? ისა, ბატონი, რამ თქვენ ჩენი კუთ-გამო-  
ცდილებისა არა გწამო-რა.

აბა, მითხორით გულიძლივ, რას ნიშნავს ის ლექსი,  
რომელსაც თქვენ მუდამ დღე ვაძახით:

„ეს ტექნიკა უთხოა ეპავსათ,  
ჩაგრძლი და გულის ხმასათ,  
კაცი რომ დაიღუნება,  
შენთვის აღდებს ქვასათ.“

զուս, հռագուս լրա և ազ զինաթագու, ոյքը պալքեցո, ոյքը-  
նա, հռամ քաշեցո հեցն մաժիզալցեցնաց զայոլուցը? Ո՞ հա-  
նո՞ զայը ըստեա քաշեցուն Շաջուրդունա?

განა ჩვენი თვალი და გონება კატეპტისაზედ ნაკლებადა  
სკრის?

თუ კატეპტი, ერთი რამ, ჩვენთვის მიუწვდომელი, ფილო-სოფოსია?

ისემც აფრიკულდათ კაცების ზარბაზანი! სრულიადაც აწა, ას ჩვენი ახლობელი ნათესავება და, სულ ბევრი-ბევრი რომ



კიანგარიშოთ, პატა ერთი და იგივე გვყვანდა. მაგრამ ეს უძრავი მიხლის! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ზოგიერთის ჰაჭუა  
ბაც კი ჩხრიალებს და ზოგიერთის კაკალიც არაო...“

პო, იმის მოგახსენებდით, რომ ზამთარს ჩეენთვის სიმ-  
შილი მოაქვს მეტქი. თქვენ, ბალებო, არც კი იცით, რა  
ვაი-ვაგლახით ეშოულობთ ლუკმა პურს! ადამიანი, ეს ბუ-  
ნების მეფე, თუ დიდ ბრძოლაში და გაწა-მაწიაში ატა-  
რებს თავის ცხოვრებას ლუკმა პურის მოპოებისათვის, აბა  
ჩვენზედ რაღა ითქმის?

იცით კი არ არის ჩეენი საზრდო, რითი კინახევთ თავს?

კია-ლუა და სხვა მწერი, ლოკოკინა, მინდვრის თა-  
ვი, პატარა ჩიტების ბუდიდგან მოტაცებული კვერცხე-  
ბი, სხვა და სხვა თესლეულობა, ხან და ხან კატის კნუტე-  
ბი და ძალლის ლევები, მკედარი საჭონლის ან რამე ცხო-  
ველის ლეში—ი ჩეენი საზრდო-საჩჩენი.

ეს კი უნდა იცოდეთ, პატარებო, რომ აქ ჩამოთვლილ საზ-  
რდოს არა მარტო ჩეენ, ბევრი სხვა ფრინველებიც ეტანე-  
ბიან და მუდამ ბრძოლაში ვართ, რომ ჩეენზედ მძლავრმა  
ფრთხოსანმა არ გამოგვაცალოს პირიდამ ლუკმა. ალბად თქვენ  
შემჩნეული გექნებათ, რომ არასოდეს არ გავატარებთ  
ჩეენს სიახლოეს მიმინოს, ქორს, ძერის, ბუს და სხვა მათ  
გვარებს. გამოინავარდებს თუ არა რომელიმე მათგანა, ჩეენ  
იმ წამსვე შეერთებული ძალით გამოუდგებით და კულით ქვას  
ვასროლებინებთ ხოლმე.

ჩეენც კარგად ვიცით, რომ ძალა ერთობაშია და ამიტო-  
მაც თითოეულად—კი არ გამოედივართ ლუკმა პურის მო-  
პოების ბრძოლისათვის, არამედ საზოგადოებით და ამიტო-  
მაც არის, რომ შეშინებული მეტოქე ამოიძუებს ძალლივით  
კულს და მოპურცხლავს ხოლმე.

ამიტომაც გავახელოთ თუ არა დილა იღრიან თვალებს,  
ყვა-ყვას დავიყრანტალებთ, მივესალმებით ერთმანეთს და



მივაშერებთ რომელისამე დიდ ხეს, თუ ტყეში ვპირდობთ, უნდა  
დიდი შენობის ბანს, თუ ქალაქში ვცხოვრობთ.

აქედამ გაეფრინდებით მინდორ-ველებისაკენ, სადაც სა-  
ზრდო გვეგულება. დაევშვებით ძირს და ვპოულობთ პურს.

ამ, იმ დღეს კარგი ქელები გვჭონდა. თათრებს აქლემე-  
ბით ბამბა მისქონდათ და ერთ დასუსტებულ იქლებს სული  
ამოხდა. ამბობდნენ — ქუში სკირდაო.

კიომუ მოგეცეთ, კარგი დღე ჩვენ დაგვიდგა. მთელის  
ჩვენის უბნის ყვავები და ყორნებიც-კი ლაზათიანიდ დავაძე-  
ხით ლების და ძელები-ლა რომ დარჩა, სოფლის ძალებს მი-  
უგდეთ. არც ხორცზედ იტყოდნენ უარს ის ქოფაქები, მაგ-  
რამ ვერ მივართვით! ჩავკორტნეთ ლამაზად ერთი-ორი და ამო-  
ვაძეუბინეთ კუდები... დიალ, როცა კოტად თუ ბევრად შევ-  
ნაყრდებით, ასე შეუადლისას, გავექანებით ჩვენ-ჩვენის ბუღისა-  
კენ და ურტას წავთელებთ კიდეც. შემდეგ ისევ. მივდივართ  
საზრდოს საძებნელიად. სალამომდე მთელის უბნის ყვავები ერ-  
თად შეეირიბებით და გავმართავთ საერთო საუბარს: ვაუწ-  
ყებთ ერთმანეთს, თუ ვის რა გაღახდა თავჩ დღის განშავ-  
ლობაში.

დაღაშებისას რამდენიმე თამაში ყვავი გაფრინდება ში-  
ნისაკენ, მიიღლ-მოიღლის, ლაათვალიერებს შინაურობის, მტერი  
ვინმე არ იყოს იქ და, თუ მშეიდლიბიანობას გვაცნობებს, გა-  
ვექანებით და წყნარად ჩავეშვებით ბუღებში.

ყოველ წყვილს თვეისი ბუღე გვაჲს და ვიქნებოდით  
ჩვენთვის, ჩვენს წესზედ, ამდენი მტერი რომ არ გვყავდეს.

ლეთის წყალობით, ყველა მტერს გაეცემდით შესაფერ  
პისუხს, ადამიანი რომ გვწყალობდეს, მაგრამ ჩვენი უბედუ-  
რებაც ის არის, რომ ადამიანთაგან ბევრს კიდევ ვერ შეუგ-  
ნია დღემდე, რომ ჩვენ მისთვის მავნებელნი-კი არა, პირიქით,  
ფრიცად სასარგებლონი ვართ.



კიდევ ღმერთმა უშეველოს იმ სოფლის მისწოდების მისადა  
და მებილე-მეტყველებს, რომელნიც აფასებენ ჩვენს ცხოველებს  
და უჩინჩინებენ მოზარდ თაობას, რომ ჩვენა ვართ თავი და  
თავი მცველები ხეხლისა და ტყე-მინდვრისა, რომ ვანიდ-  
გურებთ მცენარის მიენებელ მწერს და ცხოველებს და ვი-  
ცავთ სოფლის ჰაერის სისუფთავეს მკვდარ საქონლის ლეშის  
მოსპობით.

მაგრამ დღემდე მაინც კადევ ბევრი გვემტერება.

წასულ კეირას ხრინწიან ნესტორას გადაედვა თოფი მხა-  
რჩედ და ჩვენკენ მოშურებოდა, როცა მე და ჩემი მეუღლე  
გზის პირჩედ საკენკს ვეძებდით.

შევხედეთ რა თოფიან გლეხს, ერთი შევტრიალდით  
ჰაერში და ვკარით თავები ცის კამარას.

იგრიალა თოფმა თუ არა, მე და ჩემი მეუღლე დახოცი-  
ლებივით ძირს დავეშვით.

ნესტორას ეგონა, ეს არის ყვავები დავხოცეო, და ამუნ-  
ძულდა ის არა წმინდა ჩვენკენ; ჩვენ-კი არხეინად გაფშალეთ  
ფრთხები, სულ სხვა კუთხეს მივაშურეთ და შორი-ახლოს ბუ-  
ჩქებში ჩავესაფრეთ. იქიდამ ერთი-ორი ყვა-ყვაც მივაყოლეთ  
გულის გასახეთქად და შემდეგ თვალ-ყურის დევნა დაუწ-  
ყოთ.

დარბის ხრინწიანი, ხან იქ მიაწყდება, ხან აქ, ეძებს  
ვითომდა ნანადირევს, მაგრამ, აბა, რას ნახავდა, რაც არ მოე-  
კლა?!

ამ დროს წამოადგა თავზედ ქოსა მექია.

— რას დაეძებ, კაცო, ასე გამწარებული?

— რასა და ი დაწყევლილი ყვავი მოვკალი, სადლაც აქ  
უნდა ეგდოს და ვერა ვხედავ.

— არა, ძამიერ, არა მოგიყლავს რა და ტყუილად დაე-  
ძებ. მერე რად გინდა ყვავის მოკელა? თუ ბევრი თოფის წა-



ମେଲା ଦା ଶେଷାନ୍ତରୀ ଗୋଟିଏ, ଏହି ମନ୍ଦିରପାଇଁ, କୁରଳେଲେଖିତ ମନ୍ଦିରର  
ରାଜ୍ୟ ମିନଦା ହୋଇଲେ ଏହି ଯାରୁ ଲୁହାପାଇଁ ।

— კურდლელი-კი არა, შე დალოცვილო, ჩემს გიგლას ყინვამ ფეხები დასძრა და იმისთვის ყვავის ტყინი გვირჩიეს.

— შე მართლაც უტვინო, მერე ის სოფლის ქსენონი  
და ექიმი რაღა მოხელეა, თუ ყვავის ტეინისა გწამს რამე?  
არა, ერთი მითხარი, რაღა ხართ ასეთი დაუფიქრებელნი? და-  
ლოცვილი ექიმი ჩვენთვის ისე თავდადებულია, არც სიცხე,  
არც სიცივე და თოვლა-ბუქი არ აშინებს, მუდამ მზად არის  
შემწეობა აღმოვკინოს და თქვენ კი ყვავებსა და მკითხვებს  
დასდევთ. იქნება მკითხავი უფრო ნისწილი და მცოდნეა, ვი-  
დრე ექიმი? აფსუს, სოფლის ჭკუა! იმ ლაპარაკში ნესტო-  
რა ნელ-ნელა თან გამჟყვა მექის სოფლისაკენ.

მე და ჩემი მეუღლე დაუბრუნდით საკენკა.

რომელ ქრის მტერს უნდა გაუმჯობესოთ?

ეს კიდევ კარგი, რომ ჩვენს მტერს ჩვენი თვალითა ვხედავთ და გაჭირების დროს ერთს თუ მეორე ხერხსა ვხმარობთ თავის დასაცავად, მაგრამ შენ ისა სთქვი, რომ ღვთისაგან დაწყევლილი ბუ ლამითა გვტანჯავს ხოლმე.

ამა, დაწყევლილი რომ არ იყოს, მშინებინათლისა რად  
უნდა ეშინოდეს?

მაგრამ დაწყევლალია, რომ მხის შუქისა ეშინია და იშის ჰაბინჯი თავპირი სიბნელეს ეტანება!

კუველ არაწმინდას ეშინია სინათლისა!

ყოველი მავნე ლაშით მოქმედობს.

თითონაც გრძნობს თვეის ပულ საქციელს და სიბნე-  
ლეში ახვევს მას.

ან რა ფრინველია ბუ? — ერთი უტეინო, მახინჯიშვილის მიერ ტოშიც არის, რომ ჩვენ ტვინს ერჩის ხოლმე. თუ შემგვევნონ ღამით ბუდეში მძინარეს, მოვა და შეგ თავში გვეკრტნის, სულ ტვინს ამოგვიდულებს... წყეულიმც იყოს მისი ხსენება!

რამდენის ყვავის ტვინი ამოუკამია?!

სამაგიეროდ, თუ დღისით ჩაგვევარდა ბრჭყალებში, იცო-  
ცხლეთ, შევი დღე ჩვენ იმას დავაყენოთ! სულ ერთიანად  
დავგლეჯთ. ლინლლი-ლა თუ შერჩება ქარს საბურთოდ!

ეჭებ! თქვენც ბევრი სწავლი გინდათ, პატარებო, სა-  
ნამ სიმართლეს გაიგებთ და მაშინ კი, როცა განათლებუ-  
ლი ხალხი იქნებით, მაშინ ყვავების ბედს ძალიც ვერ და-  
ჰყეფს!..

ვინ ამბობს? მე კარგად მესმის იმ ცელქის სურვილი,  
რომელსაც მეგობოულად უნდა ყვავის ბარტყის მოშინაურე-  
ბა და გაზრდა. რატომაც არა? მე ძალიან კარგად მიხსოვს,  
ერთხელ ჩემი დეიდაშვილი ბარტყობისას პატარა ცელქმა  
ამოილო ბუდიდინ და შინ წილუანა გასაზრდელად. სამტროდ  
კი არა, სამეგობროდ!

და მართლაც ისე კარგად მოიტრა, თავ-თავის დროზედ  
სასმელ-საჭმელი, თავ-თავის დროზედ ბანიაბა, თავ-თავის  
დროზედ სუფთა შეერი. ისე გამოზარდ-გამოქურჩა, როგორც  
კარგი დედა შვილს გამოზრდის ხოლმე.

სამაგიეროდ იმ ბარტყმაც ბევრი სიამოვნება იგემი ყმა-  
წვრლს: ისწავლა ლაპარაკი, ზრდილობიანობა, სულ უკან  
დასდევდა და ასიამოვნებდა.

ხანდახან ჩვენთან მოფრინდებოდა ხოლმე. ჩვენსავით  
იყრინტალებდა, ინავარდებდა და ისევ თავის ბატონ-პატრონ-  
თან გაექანებოდა.

ერთხელ ჩვენთან ყოფნის დროს კაცივით ლაპარაკი დია-  
წყო და ძალზედ დაგვატრითხო.<sup>6</sup> ავტორთხიოლდით, მაგრამ ჩქა-  
რა გონჩე მოვედით. იო, ამაზე ნათქვამი: „ფაფის შეშინებუ-

ლი, დოს უბერავედაო". გაზრდილმა ყვავმა სიცილია ასტუთა ყვა-ყვას ძახილით და, შეგვატყო-რა, რომ იმისთვის უაკციანება არაფრიდ გვეპრიანა, აფრინდა და შინისაკენ მიიშურა. ერთ-ხელიც დალონებული მოგვადგა კარზედ: ბატონი გასჯავრებოდა.

— რადა რისთვის? — დავეკითხეთ ჩვენ.

— რა და ქალბატონი რომ თავის დასაბანად მიღიაოდა, ხელიდან ალმასის თვლიანი ბეჭედი წილირო და მაგიდაზედ დასცდო. შეც ის ბრწყინვალე საგანი თვალსა მჭრიდა, ავილე ნისკარტით და ბნელ კუნკულში მიიღმალე. შეიქნა ერთი ძებნა, ასტყდა ერთი ალიაქოთი: იქ მოახლეს გაუჯავრდნენ, — შენ მოიპარავდიო, იქ ბიჭები დაიბარეს. ავცილდათ ჭირი, ვერ ნახეს ბეჭედი. მე კი იმ დროს ეზოში არხეონად დავვა-გავლი. დაებრუნდი ეზოდან, შეეცდი ოთაში, ვნახოთ წამავ-ლო დიდედამ კისერში ხელი და დამიწყო ჯავრიბა: აი, შე ჭურდო, წუწეო და გაუტანელოთ. შეც გაენაბე სული.

მზის ჯადახრისას, როცა ჩვენები, — მებატონები გახლა-ვინ, — საცილს შემდევ ძილს მორჩნენ, მზოლოდ იდგომა ჯერ ეზარებოდათ და ლოგინზედ იზმორებოდნენ, მზის მოწითანი სხივებმა ძალზედ შემოაშუქეს და გაანათეს ის კუთხე, სადაც ბეჭედი მიემალე. ალმასი მეტი-მეტად გაბრწყინდა, თვალში მეცი. ის იყო ვსტაცე ნისკარტი და უნდა ბნელ კუთხეში გადამეტანა, მომკრა თვალი ქალბატონმა, წამოიწია, ერთი-ორი თავში წამიტიალა და ბეჭედი დამაგდებინა.

— მერე რამ დაგალონა? — დავეკითხეთ ჩვენ.

— არა, თქვენმა მზემ, დიდად ნასიიმოვნები ვიქნები ცე-მის შემდევ! — მოგვიგო ნალელიანად.

— მაინც, ჩემო დაიავ, ეს გაჯავრება დაგიშახურებია და ბრალიც შენია.


— კი მაგრამ, მე იქ წამსვლელი ალირ გახლავართ, ვი-ქნები თქვენთან, იმათ ღმერთმა მშვიდობა მისცეს!

— კეთილი და პატიოსანი, მშეიღობა თქვენს 18-იანი სისახლის  
ნებას! — მივეგსალმეო ჩვენ.

მაგრამ ხომ გიგიგონით: „შეუჩვეველს ნუ შეაჩვევ და შე-  
ჩვეულს ნუ მოაკლებო“? მოვიდა თუ არა სამხრის ქამი, აფ-  
რინდა, მიაშურა შინისაკენ და თავის გასამართლებლად წა-  
მოიყრანტალა: „შეუჩვეველ ჭირს შეჩვეული გერჩიოთო“. ის  
იყო და ის!

ივანელი





## ფუტკარი და მისი ცხოვრება

(ფუტკარი ბურტკარის ულა გოგი ვარლაშის ძე ჭიჭინაძეს)

მე ხულ სხვა გარ, ხულ სხვა მუშა  
და სხვა გვარად მოლვაწეო,  
ზეცის მუშას მეძაბიან;  
არ გარ შარტო ხაშიწეო.

აკაკი



სე მოკლედ, და მხიარულად იგვიშებრს ფუტკარს  
საყვარელი მგოსანი. პოეტის აზრით, ფუტკარი  
„მისთვის დაფრენს მოუსვენრად, რომ მოსძებნოს  
უვავოლო, გულის წვენი იმოსწუწნოს, სამკურ-  
ნალო რამ ტკბილო; შეუმშიდოს მით ქვეყა-  
ნის თაფლი, წმინდა სანთელიოა“. ასეთია მგოსნის აზრი ფუ-  
ტკარზე და ეს აზრი სავსებით მართალია: ფუტკარი სულ  
სხვანირი მწერია, სულ სხვანირი ბუში ბრძანდება. „ბუში  
ბევრსა ბზუისო, ფუტკართან ყველა სტყუისო! იდასტურებს  
ხილხური ბრძნული ანდაზი.“

მაშ, მოდით, ყმაწეოლებო, და გავიცნოთ ეს იდამიანთა-  
თვის ბრავალ მხრივ სასარგებლო მწერი. კარგად გავიგოთ  
მისი ცხოვრება, შევისწავლოთ მისი ივ-კარგი. მოდით, ჩივი-  
დეთ ბალში, იქ ხეხილის ჩეროებში ქარისაგან მოფარებულ,  
მყუდრო აღვილას დგას სკები ანუ ბუკები, იმდრულად რომ  
ვსთქვათ. იქნება გეშინიათ, ფუტკარმა ძრიელ მწარე კბენა  
იცის, რადგან მისი ისარი შხამიანია; ბევრისათვის დაუსიერია



ცხვირ-პირი, მაგრამ არც ისე საშიშია, რადგან იმანაც ცოლის მტკიცებულებები და მოყვანები. თუ მისი ცხოვრება კარგად იტქიცებულება უწყობ, ეფუძი, არამა თუ არ გიქცენს, არამედ უბრძოლელად თაფლსაც-კი დაგანებებს. მაგრამ ვაი შენი ბრალი, თუ ფუტკარს მტრად ესტუმრე, მყუდრო ცხოვრება დაურღვეო, შრომში ხელი შეუშალე და თაფლის წართმევა ისე მოინდომე, როგორც მცარცველმა ავაზაკმა და არა ისე, როგორც მისმა მომვლელმა მოკეთებ! მაშინ-კი, იცოცხლე, კარგად ისინი დაგიხვდებიან, გმირულად თავს შემოგავლენ, ისრით ტანს დაგიშულულებენ, ცხვირ-პირს დაგისიებენ.

აი ბალშიც მოვედით, აი სკები. ფუტკრები უკვე შრომში არიან გართულნი. სანამდე სეის ავთდიდე და მათ ყოფა-ცხოვრებას გიჩვენებდეთ, დაიხსნომეთ ერთი წინასწარი გაფრთხილებაც: თუ ფუტკარი თქვენსკენ წამოვიდეს, ზედ დაგვაჯდეთ, ხელი არ აუქნიოთ, არ გააფრთხოთ, თავი მშვიდიდ და წყნარიდ გეჭიროთ, არხეინად იყავით. კარგად იცოდეთ, რომ ფუტკარი არასოდეს არ იკბინება, თუ მიზეზი არ მივეცით, არ გავაჯვრეთ; კბენა ძალიან იშვიათად იცის, რადგან თუ უკბინა ვისმე, თითონაც უნდა მოკედეს: ფუტკარი რომ იკბინება, თავის ისარსაც სხეულში სტოვებს და უისროდ კი, მხოლოდ რამდენსამე საათს-ლა იცოცხლებს. მაშასადამე, თავის სიცოცხლეს დაზოგავს და, თუ მიზეზი არ მივეცით, არ გვიკბენს.

ჩვენ წინ დგას სკა, ეს არის ფუტკრების ბინა. თითოეულ სკაში სცხოვრობს თითო ოჯახი, ანუ ცალკე საზოგადოება. ამ საზოგადოებას შეადგენს ერთი დედა ფუტკრი, რამდენიმე ათასი (ოცე ათასიდგან მოკიდებული ასი ათასამდე) მუშა და რამდენიმე ასეული შამალი ფუტკარი.

დედა ფუტკარს, ნიშნად დიდებისა, დედოფალსაც უწილეს და ფუტკართა საზოგადოების მეცედ მიაწიოთ. მისი მეფობა-დედოფლობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ის კი ნამ-დვილია, რომ ამ უთვალივ ჯარ-ჯამაათის დედა ის არის,



ଭାରତୀ ପ୍ରକାଶନ

საზოგადოდ ფუტკარი, დედა იქნება, მამალი, თუ მუშა  
მწერიი და, როგორც მწერი, პირველიდ კვერცხებისაგან იჩი-  
კება. კვერცხისაგან ჩნდება მატლი, მატლი იქცევა პარკუ-  
ჭად, პარკუჭისაგან გამოძრება მწერი. ასეთ ცვლილების ვა-  
ნიციის საზოგადოდ ფუტკარი და მათ შორის დედაც. დე-  
და ფუტკარი, გარდა იშვიათის შემთხვევების (ამ შემთხვევებს მერე  
გავიგებთ), ერთად ერთია სკაში. მისი საქმეა კვერცხის დე-  
ბა და იმით შთამამავლობის გამრავლება. ის მუშა ფუტკარ-  
ზე დიდია, — ტანი უფრო გრძელი აქვს,  
ბოლო—წვეტიანი, რაღაც ფრენაში არ  
ვიზუალობს და ცხოვრებას მოლად სკაში  
იტარებს; ფრთები ძრიელ მოკლე აქვს,  
ფერად მწიფე წაბლის ფერია. შეხედუ-  
ლება მედიდური აქვს, თითქო გრძნო-  
ბსო თავის უპირატესობას, ამპარტავანია,  
აშაყია. როგორც მუშა ფუტკარს, შეა-  
მიანი ისარი იმასაცა აქვს, მაგრამ არასოდეს იმ იკბინება.  
იკბინება მხოლოდ მაშინ, თუ თავის თანასწოროთან აქვს სა-  
ჭმე, ესე იგი თუ ბრძოლაა რა დედა ფუტკარს შორის, რაიცა იშვიათად მოხდება ხოლმე (ამაზედ შემდეგ). რო-  
გორც კარგ დედას ყოველთვის ვნახავთ საბავშო რთან-  
ში, ისე დედა ფუტკარსაც ძრიელ ხშირად ვნახავთ ახალ  
აშენებულ ფიქაზე, რაღაც აქა სდებს კვერცხების უმეტესო-  
ბას. რა წამი ზამთარი პირს იბრუნებს და გაზათხოლის სითბო




ଲେଖକ ପାତ୍ରପାଳିକ



თავს იჩენს, დედა ფუტკარის შეუდგება კვერცხების, დაუბაფების  
ამისათვის პირველად მუშა ფუტკარები გაამზადებენ საკვერცხოება

**ცხეები:** ფრქა დაყოფილია ექვს კუ-  
თხიან თანასწორ უჯრებად და თი-  
თოვეულ უჯრებს შექით საკვერცხე. სა-  
კვერცხეში ასმენ თაფლს, იქვე ინა-  
ხავენ კვავილების მტკერსაც. რო-  
გორც სხვა და სხვა ნირია ფუტკარი,  
ისე იმათი ცკან-საკვერცხეც. კვე-  
ლაზე წვრილი უჯ-  
რები და ყველაზე მე-  
ტი საკვერცხე მუ-  
შა ფუტკარებისათვის  
არის დამზადებული;  
ამაზე უფრო ფართო  
უჯრებიანი—მამლის-  
თვის; ის საკვერცხე-  
კი, რომლიდანაც  
დედა ფუტკარი უნ-  
და გამოიჩინას, სულ

ცალკეგამო-  
ქრილი დედა  
უჯრების  
საკვერცხე



სხვანირია: ძრიელ ხშირიდ ფიქის  
გვერდზე მიკეთებული, ძრიელი  
ჰელის მუხის რკოს ანუ თითა ყურძ-  
ნის მარცვალს. ამ საკვერც-  
ხეებში უწევს დედა ფუტკარს კვერ-  
ცხის ჩადება. მას შეუძლია დას-  
დეს როგორი კვერცხი, სამუშე  
და სამამლე. თვით დედა იჩიკება  
სამუშე კვერცხისაგან, მაგრამ აღ-  
ზრდის და საკვერცხის სიღრიდის

ფიქის გვერდული ნაჭერი, რო-  
მელზედაც არის საკვერცხეები  
მუშისა, მამლია და დედასა. დე-  
დის საკვერცხე ა—ხაგან დედა  
უკვე გამომძრალა. ბ. უკვე  
დაბეჭდილია, მაშინაცამ მისგან  
შეიღება უნდა გამოვიდეს გ.—  
ში დედა უდრიოს მატლი ან  
მოკელავთ მუშა ფუტკარებს ან  
თავით მომკედარა, მისთვის  
ემწევა გვერდიდვან ნახვრეტი.

მიზეზით, ის მუშაზე უფრო დასრულებულია, უფრო დიდია და  
ამისათვის შეუძლია კვერცხის დება, თორემ სქესით მუშაც



იმავე მდელობითის სქესისაა. ოღრე გაზიაფხულზე დედა ჰდებს  
სამუშე კვერცხებს,—როცა მუშა სკაში საქმარის გამოსკვლა  
დება, პატიოცი საქმაო სითბო განიდება; მერე სდებს სამამლე  
კვერცხებს და ბოლოს-კი, როცა უკვე სკა იმდენზე მოლო-  
ნიერდება და გამრავლდება, რომ ვიწროობას იგრძნობენ, მინ-  
დორშიც ყვავილები უხვ საშორეარს იძლევა, ამ დროს ფუტკარს  
ელვიძება სურვილი გაყოფისა, ცალკე საზოგადოების შექმნისა  
და, რადგან ამისთვის აუცილებელია მეორე დედა ფუტკარი,  
დედა ფუტკარიც აწენს თავის მეტოქეს.

აპ. წულაძე

(შემდეგი რწება)





## გაუქმაძლარი დათვი

იგავ-არაკი

ათემა სთქვა: მინდეურით ფუტკრები  
ჩემთვის ჰზიდავენ თაფლსაო;  
თუ ვინმე შემეცილება,  
შუა გაუპობ თავსაო!“

ადგა და ერთ დღეს შესჭამა,  
სადაც რა ეგულებოდა;  
აუტყდა მუცლის ტკიფილი,  
საბრალოდ იგრიხებოდა.

კვირითდა, იტანჯებოდა,  
ჰუშლეკდა, სკიმაებდა ფეხებსა;



ମୋହନ ଦା ଲ୍ୟାଶି ରାତରେଣ  
ଶାକରିପାଇ କ୍ଷେତ୍ରର ମିଳନରେ ପୁଅଗ୍ରେଦ୍ବସା?

ხარბი და გაუშეძლარი  
საქმეს წააგებს, ინანებს;  
თავს დაიღუპავს უბრალოდ  
და გაახარებს ყველ-ყორნებს!

### **၁. မြန်မာစွဲမြေးကြောင်း.**





## ზარები გუგუნები

(თარგმანი)



ლდგომის დილა თენდებოდა. ილიონშა ოდნავ იცია და ლაფვიარდოვანი ცა შეიწიოთლა. საყდრის გუმბათის წვერი, როგორც ვაჩ-სკლავი, ისე ბრწყინვადა მოლუქჯო სიკრეცე.

მხიარულად და დიდებულად ჰრეკონენ ზარები, და ეს დიდებული, ძლევა მოსილი ხმა შორს, შორს იფანტებოდა გაზაფხულის ჰაერში. საყდრიდან, რომლის კარები სრულიად გაეღოთ, ხალხი გამოდიოდა. ყველა საუკეთესო ტანისამოსით იყო მორთული; ყველას რაღაცა სიამოვნება, გამოუთქმელი სინარული ეხატებოდა პირისახეზედ; ყველა მხიარულობდა, ბედნიერად გამოიხედებოდა.

აქა-იქ წყნარი ბაასი და ხითხითი ისმოდა...

იმ დროს, როდესაც ზარები ერთ წამს დავდუმდენ, საყდრის გილვანში იშეარად გისმა ყრუ, გულ-შემზარევი ქვითინი. წეარა ხელ იხლად გისმა სამრეკლოდან დიდებული,



სასიხარულო ხმა და ჰშანთქა მწარე, გულსაკლავი ჰერთინიშვილი  
ზარები კა გუგუნებდა და გუგუნებდა....

იქ კი... საყდრის გალივენში... ერთი პატარი გოგო საფ-  
ლავს ჩატვირთდა და ნუგეშ მოკლებული მდუღარედ სტი-  
როდა. იმის დიდრონი თეალები ჩატვირცხულდა შევსა და  
ციცს მიწას. თავი ავსებოდა შარშანდელ გამზმარ ბალახით,  
თმები გასწეულდა და ჩამოშლოდა გულზედ, მხრებზედ.

ცრემლები ლაპა-ლუპით გვიდონს დიონდა და ალბონდა შიწას. პატარა მოლად კახუახებდა სიმწარითა და უფრო ძლიერად ეკონებოდა საფლავს.

ბევრები გაწევდა... გაშევდა...

იმედ და კარგულის კვნესით წიმ და უწუმ თავს ხე-  
თქებდა ქვას და ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაძიხოდა ერთსა და  
იგივეს:

— දෙපා, දෙපා! හිමි පාඨුන්සේදුලු දෙපායා!!

ბავშვი თურქელ ჯოჯოხეთს ჰერძნობდა. ობლად, მარტოკად ჰერძნობდა თავს ამ ბრწყინვალე დღეს! გული უკნესოდა... ნალელით ევსებოდა...

ან როგორ არ ეტიქნა ჰაწის! იმისებ მაშავ ლილ ქალა-  
ქისაკენ გასწია და საღლაც გადიკარგა; დარჩია დედა. და იმ  
ოთხი დღე გაიტანეს ამათ ქუჩიდან და ამ შევ და ცივ სამა-  
რეს მიაბარეს. დედა ეხლა იქ ხომ მარტოდ მარტო! რატომ  
დედამ კრინტი არ დასძრა, როდესაც ამ ოჩოში ჩაუშვეს  
და მიწის აყრილნენ? არ დაშიძხა და თან არ წამიკუანა? ეხლა  
უცხოებთან უცხოებრობ, დედა კი იქ დარჩია მაწაში. მაში, ნუ  
თუ დედა არასოდეს არ დაბრუნდება თავის ქალთან. არ უნ-  
და ვიცოდე დედაისა, დედასაც კიდევ ჩემი იბავი არ უნდა  
ესმოდეს...

— დედა, დედა! წამიყვანე შენთან!.. წამოიძახა გამწა-  
რებულმა ბაეშემა.

პატარა ძალზედ ჩიტქროდა ძვირფას საფლავს. მიწარმატვები გოგოს ხელებზედ, პირისიხეზედ, და მოუთხუპნა დაჭრის კოლექცია კაბა.

მწვავე, მწარე იყო ეს გოდება, გმინვა, საერთო მხიარულობის დროს!..

ამ დროს ვიღაცა ბერი კაცი მოვიდა მტირალ გოგოსთან და დაუწყო დამშვიდება. ამისაც თავისი საუკეთესო ტანისამოსი ჩიეცვა. იმისი გრძელი, თეთრი წვერი ვერცხლივით ბრჭყალინავდა.

— გეცოფა, დამშვიდდი — უთხრა მან თავის გაქნევით. ნუ ღმურ... რას ქვითინებ, მაინც ვერ გაიგებს დედა შენი. ადე, წამო ჩვენსა გაფიხსნილოთ. ბებერმა მოქადა ბავშვს ხელი, რომელიც მუშტებით იწმენდდა ცრემლებს. საბრალოს მოაგონდა შარშანდელი ბედნიერი დოე, როდესაც თავის დედით ბრუნდებოდა საყდრილან.

ამ მოგონებაზე ბავშვს ისევ წასკდა ცრემლები და მათ შესაკავებლად ტუჩებს იკვნეტდა. მიღის ეხლა უცხოებთან... მხიარული სიცილი და ბავშვების ხმაურობა ის მოდა საყდრის გალავანში. პატარა გოგო კი ჰყლიაპიცდა, ცრემლებს რომლებიც განუწყვეტლივ სდიოდა თვალთაგან.

ზარები კი მხიარულად გუგუნებს... ეს მხიარული, დიდებული გუგუნი ჩინთქაცდა უოველ გვარ ხმაურობას, სიცილსაც და იმედ დაკარგულ ქვითინსაც...

განვლო ერთმა წელიწადში. კიდევ ისევე თენდებოდა იღდეომის დილა. იმ საფლავის გვერდით, რომელსაც გოგო ცრემლებით იღტობდა, შეორე პატარა საფლავი იშალლებულიყო. პატარა ქალი მოკვდა...

### ၈. ဆင်အဖွဲ့မြှေးလုပ်



# ასანთის ამბავი

ალექსანდრე ალმედინგენისა



(შემდეგი)

ეთერამეტე საუკუნეში ქალაქ ჰამ-  
ბურგში ცხოვრიბდა ვაჭარი ბრან-  
დი. ბრანდი მარჯვე, დახელოვ-  
ნებული და მუოდნე კაცი იყო. ერ-  
თი ქალაქიდან მეორეში დადიო-  
და სავაჭრო საქმეებზედ, ბევრს  
ხალხს ხვდებოდა, ყოველ ახალს

ამბავს ყურადღებას იქცევდა, განსაკუთრებით ილქიმიკოსებს:  
ამ სახელს უწოდებდნენ იმ ნახტაელ ხალხს, რომელნიც სცდი-  
დნენ და იკვლევდნენ ლითონებს, სხვა და სხვა მიწას და ქვებს;  
ცდილობდნენ შეეტყოთ, რა იყო სისხლი, თმა, ძვალი, რისგან  
შესდგებოდა ხორცი, სისუქნე და სხვა. ეს მეცნიერნი ხანდა-  
ხან მთელ დღესა და ღამეს ამ საქმეში იტარებდნენ, მეტადრე  
ფრილოსოფიურ ქვის ძებნაში, რომლის საშუალებით უბრალო  
ლითონის ოქროდ გადაქცევას იმედოვნებდნენ. რასაც ეძებ-  
დნენ, ის ვერ ჩოვნეს, რასაკვირველია, მაგრამ მის ძებნაში  
ბევრი სასაჩვენებლო რამ აღმოაჩინეს. ბრანდი ისე გაიტაცა  
ილქიმიკოსების სწავლამ, რომ თავის სახლში გაიჩინა ყოვე-  
ლიკ, რაც საჭირო იყო, გატაცებით კიოხულობდა შეხა-  
ფერ წიგნებს, დაანება თავი ვაჭრობას, რადგან დარწმუნე-



ბული იყო, ამით უფრო დღვილად და ჩემის გადასაცემად მოდია. ძნელი ასახსნელია, რისათვის მიჰყო ხელი ბრანდშა შეარდის გამოკვლევის, მაგრამ ამ გამოკვლევამ იმისთვის დღიდი რამ ახსნა, რის გამოც უკვდავი შეიქმნა იმის სახელი; ბრანდშა ჩაასხა შეარდი რკინის ჯაში, ჩატყარა შიგ ქვეშა, დადგა ცეცხლზე და ადგულა, მანავ არ გასქელდა, თითქმის გამავრდა. ეს მაგარი გუნდა ვადასდო თიხის ჭურქელში, დადგა დიდ ცეცხლზე და რამდენიმე სათო აწრთო. ბრანდი მიჩვეული იყო დაკვირვებას და ეხლაც შენიშნა გასხო-კარი მოვლენა: რეტორტის ყელიდგან ამოდიოდა თეთრი ბოლი და დრო და დრო სწორედ ჭურქლის პირზედ იქრი-ფებოდა რალაც ახალი ნივთიერება, რომელიც ჰერთან შე-სებით ინთებოდა, ალი ნათელი და ბრწყინვალე ჰქონდა, თან თეთრი ბოლი ასდიოდა.

ბრანდში რამდენჯერმე განიმეორა ეს ცდა, ოლონდ ისე-კი, რომ ეს ახალი ნივთიერება არ დამწერიყო. ეს კი ძნე-ლი იყო, რაღაც პატიში გაშინევე ინთებოდა და იწერდა. ბევრი შრომა დასკირდა ბრანდს და ბოლოს მინც წადილი შეისრულა. ჩეტორტის ყელს მიადგა მინის მილი, მოკეცა და ერთი ბოლო ჩისდო პირვანიერ მინის ბოთლში, რომელიც წყლით აავსო. ამ რიგად ბოთლის ძირში დატანა როდაც ყვი-თელი ნივთიერება. რა რიგად გაოცდა ბრანდი, როცაც დამ-და და დაინახა, რომ მისგან აღმოჩენილი ნივთიერება ინა-თებდა და ჰუცნდა გარს მერთალ სინათლეს! იმ დროში რაც ნივთიერება თვით ინათებდა, ფოსტორს ეძახდნენ და ამიტომ ბრანდმა ამ ნივთიერებას ფოსტორი ლაპრეცა. მანათობელი ნივთიერებანი ბრანდის ყურადღებას იქცევდა და დიღის თავ-გამოდებით შეუდგა ფოსტორის ბლობად შემზადებას. ასე ეფონია, ხელში ჰაქვს ის ფილოსოფიური, ქვა რომლისათვი-საც ამოდენა ალქიმიკები ჩამდენისამე საუკუნის განმავლო-ბაში მუშაობენ. ბრანდისაგან მიღებული საშუალება ფოს-

ფორის აღმოჩენისა არ იყო სახეირო, რადგან შარლში ცოდნული ტაბა ფოსფორი.

შესრულებული  
შესავარაული

ქალაქ უპსალში 1773 წ. სცხოვრობდა განთქმული კარლ ვილჰელმ შეელე. ამ მეცნიერმა პირველმა შეგვატყობინა, რომ პირვერულის ძვლებში ბევრი ფოსფორია შეერთებული კირთან. შეელემ საფუძვლიანად შეისწავლა, რისგან არის შედგენილი ძვალი და რა ლონისძიებით მორპოვება ძვლებიდან ფოსფორი. ეხლაც იმავე წესით ამზადებენ ფოსფორს. ბევრს ქვეყანაში არის ახლა უშეველებელი ქარხნები, სადაც ძვლებიდან იღებენ ფოსფორს. ამისთანა ქარხნები რუსეთშიაც არის, მეტადრე ურალის ახლო, პერმის გუბერნიაში.

ფოსფორი და მისი თეისება იმდენად საყურადღებოა, რომ მეტი არიქნება გავიცნოთ, რა საშუალებით იღებენ ქარხნებში ფოსფორს. ამის ასახსნელია საჭიროა ვიცოდეთ, რომ ცხოველის ძვალში იმ სახით არ არის ფოსფორი, როგორც ჩენ ხელთა გვაქვს. აფთიაქში ანუ წამლების საწყობში უნდა წარუდგინოთ კანონით დაწესებული ბარათი, რომ მოგცენ ეს ძლიერი საწამლივი შუშის ან თუჯის კურკლით. კურტელში წყალია ჩასხმული, წყალში აწყვია ყვითელი რვეალი ჩეირები ანუ ოთხ-კუთხი ბრტყელი ნაკრები. გარეგნობით ფოსფორი მოგაგონებთ წმინდა სანთლის ნაკერს, მართლადაც რბილია და სანთელივით აღვილად იქრება დანით. ხელი არ უნდა ახლოთ, რადგან ძლიერი საწამლივია და აღვილად ინთება ჰაერში. ერთი ბეჭრო ფოსფორის ნაკერიც რომ დაიდოთ თითხე, აღვილად ინთება და ძალიან დაგწვამო. ცხოველების ძვლების გარდა, ფოსფორი მიწაშიაც არის. დანამდვილებით შეიძლება ესთქვათ, რომ არ არის ისეთი აღვილი დედამიწის ზურგზედ, სადაც ფოსფორი არ მოიპოვებოდეს, მხოლოდ მისი რაოდენობა მეტად მცირება. თვით ლაბაზი ცისფერ ფირუზის ქვასაც-კე ურევეა ფოსფორი. მცენარეებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფოსფორის რაოდენობას ნიადაგში.



ფოსტორის მარილი უსაჭიროები საკვები ნივთიერობას  
შეცნარისათვის. ყოველი ცხოველი, რომელიც შეცნარით  
იკვებება, საჭმელს თან ატანს ფოსტორის მარილს. ცხოვე-  
ლის სხეულში უმეტესი ნაწილი ამ მარილეულობისა გარდი-  
ქსევა კირ-ფოსტორის მარილიდ და შედის ძვალში. ამი-  
ტომაც ცხოველის ძვალი მასალაა, სიცდეანაც იღებენ ფოს-  
ტორს, როგორც გვაჩვენა შეედელმა დიდებულმა ქიმიკოსმა  
შეელებ.

ახლა ვნახოთ, როგორ იღებენ ფოტორს ძვლებიდან. უპირველესიდ ძვლებს სწვენ დიდრონ ღუმელებში. იწვის  
წებო და სისუქნე, რჩება მხოლოდ ძვლის ნაცარი, ამაში  
არის ფოსტორ-კირის მარილი. როდესაც ძვლის ნაცარი გა-  
ნელდება, მუშები გამოხვეტენ ღუმელიდან და წილებენ ქირ-  
ხნის განყოფილებაში, საღაც სდგას დიდრონი კისრები, შიგ-  
ნიდან ტყვიის ფურცლებით გაკრული. ძვლის ნაცარს ჰყრიან  
ამ კასრებში და ზედ ასხმენ თხელ და წყალ-ნარევ გოგირდის  
სიმეავეს.

ერთმანეთში კარგიდ აურევენ და რამდენისამე ხნით და-  
სდგენ. კასრებში გოგირდის სიმეავის მოქმედებით კეთდება  
ისეთი ფოსტორის მარილი, რომელიც აღვილად იხსნება  
წყალში.

ჩეენ რამდენიმე სიტყვა დაგვჭირდა ქარხანაში მუშაობის  
ასაწერად, ნამდეილად-კი ძალიან ბევრი ჯაფა და ყურადღება  
სკირდებათ მუშებს. დიდი სიფრთხილე უნდა, კასრებში ჩისხმის  
დროს რომ წინწევალი არსად მოხვდეს. წინწევალი თუ მოხვდა,  
კან დასწევას, ტანისამოსზე წითელი ლაქები რჩება და ბო-  
ლოს ის ადგილები იფლითება.

მუშაობის დროს უფრო ხშირად ძვლის ნაცარს ასდის  
გაზი, რომელიც მძიმე სულისა და სულს უგუბებს მუშებს  
გარდა ამისა, ძალიან სიფრთხილე უნდა ქარხანაში მუშაო-  
ბის დროს, რომ მუშა ფოსტორით არ მოიწამლოს. არის კი-

დევ წითელი ფოსტორი, რომელიც გარეგნობით განსხვავდეული  
ბა ყვითელისაან.

1845 წ. გერმანელმა ქიმიკოსმა შრეტტერმა აღმოაჩინა  
საშუალება ყვითელ ფოსტორიდან წითელ ფოსტორის ფხვნი-  
ლის მიღებისა. წითელ ფოსტორის შენახვა წყალში საჭირო  
არ არის. შეიძლება უშიშრიად ჩაიყაროს უბრალო ქილაში.  
ჰაერში წითელ ფოსტორს არა ემართება რა, შეიძლება დიდ-  
ხანს ეყაროს ფიცარზედ ან თევზზედ. წითელი ფოსტორი  
სინათლეს არ გამოსცემს, არ აინთება თავისით ჰაერში.

ფოსტორი ყველაზედ შეტაც საჭიროა სანთისითვის,  
გარდა ამისა, ბლომად იხმარება ქიმიის ლაბარატორიებსა და  
ქარხნებში.

ელ. ანტონოვსკისა.





## ნაპოლეონ ბონაპარტი

IV

### მეგობარი

**Б**აპოლონის დედა, ლეტიცია, რამდენისამე დღით  
სტუმრად წავიდა აიაჩის მახლობლად. კარლ  
ბონაპარტიც სალამოზე უნდა წისულიყო სამის ბავ-  
შვით.

მანამ მოემზადებოდნენ,  
ბაღში გავიდა ძია მლედელთან  
და ფეშთან.

წინ კარში რომ გავიდნენ,  
მამიმ დაინახა კუთხეში მიმჯდა-  
რი ნაპოლეონი.

— რას ფიქრობ? იმედი  
მაქვს, ახლა მაინც სოხოვ ძიას  
ჰატიების.

— მე არც მიჭიდია, და არც  
ხელი მიხლია ხილისათვის, წი-  
ნანდებურად უპასუხა ნაპოლე-  
ონმა.

— შენ ისევ კერპობ! შე მაგის ნებას არ მოგცემ; და  
თუ წკეპლამ ვერ მოგარჯულა, სხვა საშუალებას მიემართავ.  
შე, ელიზა და ლიუციანი სხვაგან მივდივართ სამის დღით და



ნაპოლეონ ბონაპარტი.



თუ ამ ხანში არ დაანებებ თავს ჯიუტობას, იცოდე ჩემი განაკვეთი სელამდის წყლისა და პურის მეტს არაფერს არ მიიღებ.

— ყველს ხომ მისცემენ, მამილო? — ჰერთა პატარა პალეტამ.

— მისცემენ, ოლონდ სულ უბრალოს.

— არა, საუკეთესოდ რომელიც ითვლება ის მისცენ, გენაცვალე.

— არა, — უპასუხა მამამ და შეხედა ვაეს, მაგრამ, რა ნახა წინანდებურად გაჩუმებული ნაპოლეონი, უბრანა შეებათ ეტლი და გავიდა გარეთ.

— რატომ არ გინდა, ითხოვო პატიება? — შეეკითხა დალონებული პალეტა.

— იმიტომ რომ დამნაშავე არა ვარ.

— მაშასადამე არც ითხოვ?

— არას დროს.

— მაში ცარიელი პური და წყალი იქნება შენი საკმელო, რიგიან ყველსაც კი არ მოგცემენ.

— რა ვუყოთ, მე რა ნება მაქვს, ბატონი ხომ არა ვარ.

ამ დროს გაიარეს ძმებმა და ელიზამ.

— ნახვამდის, ნაპოლეონ! — უთხრა იოსებმა.

— შევიდობით, კერპო ძამიავ! — გამოეთხოვა ლიუკიანი.

— ელიზამ ისე გაიარა, რომ არც-კი შეუხედავს ძმასა-თვის.

სამი დღის შემდეგ დაბრუნდა ბონაპარტი თავის თჯანთ.

პანორია ლობესთან ელოდა იმანაგს და სახლში შეჭყვა.

— დილა მშეიდობისათ, — მიესილმა ლეტიცია მღვდელს, რიგორა ბრძანდებით? ბავშვები სიდღა არიან?



ნაპოლეონი და პალეტა.

— მე აქა ვარ, დაიყვირა პალეტამ და ყელმეცხადისაც და დედას.

— ნაპოლეონი?

— ნაპოლეონი დასაჯეს, გაბუტულია და ვერ გამოდის, უპასუხა პალეტამ.

— სრულებითაც არა ვარ გაბუტული,—სთქვა ნაპოლეონმა და გამოვიდა დედასთან.

— გამოტუდა? — იკითხა კარლ ბონაპარტმა.

— არა, ჩემს დღეში არ მინახავს ამისთანა კერპი ბავშვი, დაიწყო ძია მღვდელმა.

— რა დაშვა? — იკითხა დედამ.

მღვდელმა დაწერილებით უამბო ცველაფერი, და ჩივრდა, კურპია, ვერ გამოვტეხეო.

— როგორ უნდა გამოტეხილიყო, როცა მაგას არ შეუჭამია.

— მაშ ვინ? — ჰკითხა ძია მღვდელმა.

— მე და ელიზამ, — უპასუხა ქალმა დაუფიქრებლად.

ცველას გაუკვირდა.

— საბრალო! დაიწყო მღვდელმა, — რატომ არა სთქვი, ბიქო?

— მე მხოლოდ ვფიქრობდი, რომ ეგრე უნდა ყოფილიყო, ნამდეილად-კი არ ვიცოდი.

რასაკვირველია მის შემდეგ ბავშვს ცველანი უალერ-სებდნენ, ცველა ცდილობდა, როგორმე გაესწორებინა შეცდოშა.

ამ შემოხვევამ ძალიან აამაღლა ნაპოლეონი შინაურების თვალში. განსაკუთრებით შეუყვარდა ბიძის. მღვდელი თვალურს ადევნებდა არა ჩვეულებრივ ბავშვს, ხელს უწყობდა მის მკვირცხლ ვონების განვითარებას და თუმცა ნაპოლეონს ბევრი ნაკლი ჰქონდა, მოხუცი მაინც გრძნობდა მის ბრწყინ-



ნვალე მომიგოლს. და სიკედილის დროს მის მშობლების უფლის  
ხრა:

— ნაპოლეონის მომიგოლზე ნუ შესწუხდებით, ეგ თი-  
თონ გაიკვლევს გზას და თუმცა უფროსი ძმა ჰყავს, ოჯახის  
ბურჯად მაინც ეგ იქნება. გახსოვდეთ ჩემი ნათქეამი.

მოხუცის სიტყვები რომ ისრულდა, უყელამ კარგად ვი-  
ცით.

### თ. ბაქრაძე

(გაგრძელება იქნება)






## ნიკოლოზ ვასილისე გოგოლი

რუსეთის გონიერივ განვითარების ისტორიაში ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლის ღვაწლა-მოსილი სახელი მუდიმ იღსამი-შნავი იქნება. რუსეთი და რუსის საზოგადოება ვერასოდეს ვერ დაივიწყებს იმ ფასდაუდებელ ღვაწლს, რომელიც გო- გოლმა თავისი დიადი ნიჭით დასდო რუსეთის მხატვრული ლიტერატურის განვითარებას.

ამ ეპიდ რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზედ მაღლი- ერი ერი ერთსულად და ერთგულად იყონებს დიდებული მწერლის დაბადების ასი წლის თავს და ამ ბრწყინვალე დღის ასანიშნავად შესაფერად ემზადება. ყველგან, საკა კი რუსე- თის გონიერივი ძარღვი ოდნავ მაინც ჰუკეთქს, დიდებული მწერლის მოსაგონებლად იმართება ბრწყინვალე დღესასწაუ- ლები, რომელზედაც, ყოველს ეპვს გარეშეა, რუსეთის სა- ზოგადოება ერთი ორად უფრო დააფასებს იმ დიდ ღვაწლისა და შრომას, რომელიც გოგოლს მიუძლვის რუსეთის საზო- გადოების წინაშე.

უმქველია, დიდებული მწერლის მოსაგონებლად გან- ზრახული დღესასწაულებია საერთონ ხასიათს მიიღებენ, მოე- ლი რუსეთის საზოგადოება მიიღებს გულწრფელ მონაწილე- ობას ამ ეს ბრწყინვალე დღესასწაულებში და ასეც უნდა მოხ-

დეს, რადგან ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი თავისი წერილები დის ნიჭით და შემოქმედობით ღირსია ესეთის სტილის განვითარებას საერთო პარივის ცენტრისა.



ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლი.

მთელ რუსეთთან ერთად ყავკასიის მკეილრიც დლესასწაულობს რუსეთის დიდებულის მწერლის ასის წლის თავს და იმი-



ტომ „ნაევდულის“ რედაქციის თავის მოვალეობად მწერლის  
გააცნოს თავის პატარა მექიზეველებს ვინაობა და ლვაწლი  
რუსეთის იმ დიდებულ მწერლისა.

ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი დაიბადა 12 მარტს  
1809 წელს უკრაინაში, პოლტავისა და მირგოროდის მაზ-  
რების საზღვრებზედ, დაბა საროჩინცაში, თავის მშობლების  
მამულ ვასილიევკაში.

ყმაწვილობის ხანა გოგოლში გაატარა უკრაინაში, რომ-  
ლის საუცხოვო ბუნება ერთიანიდ ჰეიბლივდა პატარა გოგო-  
ლის მგრძნობიარე გულს. პატარა გოგოლს ბავშობიდანვე  
ეწვეთებოდა უკრაინის საეროვნო ლექსები და სიმღე-  
რები, იგი გულმოდებინეთ ყურს უგდებდა ხალხში დარჩენილ  
ზღაპრებსა და გარდმოცემებს და ამ რიგად გულში ინტერავ-  
და ბავშობიდანვე სიყვარულს თავის სამშობლო ქვეყნისა.  
მართლაც, გოგოლში ბავშობიდანვე ლრმათ გულში ჩინერგა-  
თავისი სამშობლო კუთხის სიყვარული. იმოდენიდ მძღვრი  
იყო ეს სიყვარული, იმოდენათ ფართო ადგილი ჰქონდა და-  
თმობილი მწერლის მგრძნობიარე გულში, რომ გოგოლი სა-  
ფლავის კარებამდის „ხატად და ჯვარად“ ატარებდა თავის  
სამშობლო კუთხის ხსოვნას.

პატარა ნიკოლოზის შაბა ვასილი ითანასეს ძე გოგოლი  
თავის დროის განათლებულ კაცად ითვლებოდა, მწერლობა-  
შიაც მცირე მონაწილეობასა დებულობდა. საზოგადოებაში  
კასილს დიდი პატივისცემა ჰქონდა და მასამურებული, ყველანი  
დიდის მორიდებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. ვა-  
სილი მეტად მახვილი გონიერის კაცი იყო, იგი შეუდარებელ  
მოსაუბრეთ ითვლებოდა და თან დიდი ნიჭიც ჰქონდა მოს-  
წრებულად ოხუნჯობისა. ჟედა მომვალი მწერლისა მირია  
ივანეს საული შეტათ კეთილი და ღვთის მოტემუნე ქალი იყო.  
შობლები თავის პატარა „ნიკიშას“ ბავშობიდანვე უნერ-  
გავდნენ გულში სამშობლოსა და თავის მომეთა სიყვარულს  
და თეითოვეული მათგანი აწედიდა ყმაწვილის ნორჩ გონებას.



იმ სახრდოს, რომელიც მას თვითონ ბუნებისაგან მიმადლებული.

უკრაინის საუკუნოვო ბუნებაში, უკრაინის საეროვნო ლექსებისა და ზღაპრების ბოვშობიდანვე ყურის გდებაში და მშობლების ზრუნვაში და შეცადინეობაში, ყოველს ეჭვს გარეშე, რამდენიმედ მაინც მოამზადეს ის ნაყოფიერი ნიადაგი, რომელზედაც შემდეგში ასე უხვად იღმოცენდა დიდებული მწერლის დიადი ნიკი.

ათი წლის ნიკოლოზი შშობლებში პოლტავის გიმნაზიაში მიაბარეს, სიცა გოგოლმა ძრიელ მცირე ხანი დაჰყო.

1821 წელს გოგოლი გადაიყვანეს ნეეინის ახლად გახსნილ გიმნაზიაში. ნეეინის გიმნაზიაში ნიკოლოზმა ძრიელ სუსტათ დაიკირა, თითქმის ყველა საგნებიდან, გამოცდა, მაგრამ, რაღვან გიმნაზია ახლად გახსნილი იყო და მოწაფეებიც ასე რიგად არ ეტანებოდნენ ამ სასწავლებელს იგი მაინც მიღებული იქნა გიმნაზიაში. ნეეინის გიმნაზიაში გოგოლმა დაჰყო შეიღი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მომავალმა დიდებულმა მწერალმა თითქმის ვერაფრით ვერ იჩინა თავი. პირიქით, პატარა გიმნაზიელი. მეტათ სუსტათ სწავლობდა, ხშირათ ივალმყოფობდა და კიდევაც ზარმაცობდა. ვერც მასწავლებლებიდა ვერც ამხანაგები პატარა გიმნაზიელს ვერავითარ ნიკს ვერ იმჩნევდენ. ან როგორი ნიკი უნდა გამოეჩინა ყმაწვილს, როცა იგი ასე ხშირად ავალმყოფობდა და თან ზელმეტათ ზარმაცობდა.

თუთხმეტი წლისა იქნებოდა გოგოლი, როცა მას მამა გარდაეცალა. მამის სიკედილმა დიდი გაელენა იქნია პატარა გიმნაზიელზედ, მან ძეელებურ სიზარმეცეს თავი დაანება და გულშოდგრნეთ შეუდგა საგნების სწავლის იმ აზრით, რომ ლროზედ დაემთავრებინა გიმნაზია, ოჯახს მიშველებოდა და მამის მავიერობა გაეწია.

1828 წელს ნიკოლოზმა დაამთავრა ნეეინის გიმნაზია და თუმცა საქირო ცოდნა მას სასწავლებლიდან არ გამოუ-



ტანია, მაგრამ ახლად კურს დამთავრებული ყმაწევილი მომზე მომზე ცეცხლი იყო იმ აზრით, რომ თავის ცოდნა. და ძალლონე შეეწირა სამშობლო ქვეყნის სამსახურისათვის.

ამიტომ გოგოლმა ძრიელ მცირე ხანი დაჭყო თავის სა-  
მშობლო ოჯახში. ცოტა დასვენების შემდეგ იხალგაზდა ნი-  
კულოოზი გაემზავრა პეტერბურგში, საცა იყო პფიქტობდა  
საზოგადო საქმეებში ჩაბმას და რაღაც დიდებულ რისამე გა-  
კეთებას.

პეტერბურგში ჩასვლისთან ავე გოგოლმა მრავალი გაქი-  
ვრება და დაბრკოლება გამოცადა, მას თითქმის ყველა იმე-  
დები გაუტრუედა. რაღაც მას შესაფერი ცოლნა ხელს არ  
უწყობდა, ვერავითარ საზოგადო საქმეს ვერ მიყედლა და  
ახალგაზდა და მეტად მგრძნობიარე ყმაწვილი სულით-გულით  
იტანჯებოდა.

სწორეთ ამ დროს გოგოლმა ერთ-ერთ სატახტო ქალა-  
ქის გაზევთში მოითავსა პატარი თავის მოთხრობა, მაგრამ ეს  
მოთხრობა ძრიელ სუსტი გამოდგა და კრიტიკაშიც აღნიშნა  
დაუყონებლივ ეს სისუსტე. გოგოლის სასოწარკუეთილებას  
საზღვარი არ ჰქონდა. ზოგიერთი ნაცნობების ჩრევით გო-  
გოლმა გადაწყვიტა შეახობათ შესვლა და მართლაც ამ აზრის  
განსახორციელებლიდ მინ გამართა მოლიპარაკება მაშინდელს  
შეახობებთან, მაგრამ ექაც არ გაულიმა გოგოლს ბეჭმა.

მეტად უნგვეში მდგომარეობაში ჩავარდა თალღაზედა ყმაწვილი. თითქმის უკელა საქმე, რასაც კი ხელი ჩისკიდა, ხელიდან გამოეცალა.

მეტათ უნივერსიტეტი სულიერ მდგომარეობას განიცდიდა პეტერბურგში იძლად ჩამოსული ყმაწვილი, რომელსაც ნიკ-თაირი შევიწროებული მდგომარეობაც წყლულზედ წყლულს უშაორებდა.

სასოწიანულების მიზანი გადაწყვიტა ამერიკაში გადასახლებამ და მართლაც კიდევაც გაემგზავრო იყო ამ მისათვის საოცნებო ქვეყნისაკენ. მაგრამ მან გზაში გონივრულად გა-



ითვალისწინა თავისი მომავალი და ისევ გზიდანვე და პეტერბურგში.

ამ ვამაც გოგოლის მღვმარეობა პეტერბურგში შედარებით უფრო საკეთილოთ შეიცვალა. ნაცნობების დახმარებით მან მიიღო პეტერბურგის ქრისტენიზაციის კანცელარიაში მოხელის მცირედი აღგილი. მცირედი ჯამავირი და ერთგვარი აუტანელი მუშაობა, რასაცირკელია, ვერ დააკმაყოფილებდა ახალგაზლა ყმაწვერს და ამიტომ მან გადაწყვიტა სამსახურის თავის დანებება. გოგოლის ამ აზრის განხორციელება მით უფრო მოსდიოდა სხევში, რომ იგი ამ უამიდ გაცილებით უფრო მეტს მოწოდებას გრძნობდა სალორენატური ასპარეზზედ მუშაობისითვის.

მართლაც, გოგოლმა სამსახურს თავი დაანება და მთელი თავისი შრომა და მოცალეობა სალიტერატურო მოღვაწეობას შესწირა.

პირველი მოთხრობა, რომლითაც გოგოლმა მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება, იყო სალამოები დაკანკის მახლობლად.<sup>4</sup> ამ მოთხრობაში ნიკიერმა შეწერალმა მხატვრულიდ გადაუშალა მკითხველ საზოგადოების სიკრცე სიგანით უკრაინის ცხოვრების სურათები. ეს მოთხრობა ისე ნიკიერად და მხატვრულიდ იყო დაწერილი, რომ გოგოლმა ერთბაშად დაიმსახურა მთელი რუსეთის საზოგადოების ყურადღება. თანამედროვე კრიტიკამაც დიდის ქებითა და დიდებით მოიხსენია მოთხრობის ავტორი და დიდებული მომავალი უწინასწარმეტყველი ახალგაზლა ნიკიერ შეწერალს.

მართლაც კრიტიკის ესეთი წინასწარმეტყველება საესებით გამართლდა. გოგოლმა ამ თავისი პირველი ცდის შემდეგ მრავალი პატარ-პატარი მოთხრობები დასტამბა, რომელიც არა ნაკლების ხელოვნებით იყო დაწერილი. საზოგადოება დიდის ინტერესით კითხულობდა ამ მოთხრობებს და ოლტაცებაში მოღილდა. კრიტიკაც დიდის გულმოლგინეობით თვალ ყურს აღვენებდა თვითეულს მოთხრობებს და შესაფერის ქებით ისსენიებდა ახალგაზლა ნიკიერს შეწერალს.



გოგოლის სახელი თან და თან უფრო მეტრუ-მეტრულია  
დიდებით ისენიებოდა რუსეთის თვალუწილენელ სივრცეზე.  
ახლგანდა გოგოლი გაეცნო ყველა მაშინდელ წარჩინებულ  
მწერლებს, რომელთა შორის განსაკუთრებით დაუახლოვდა  
ეკუთხების, პლეტნეების და პუშკინს.

ამ მწერლების დახმოცემამ და მეცნიერობამ დიდი სამსახური გაუწიოს გოგოლის ნიჭის განვითარებას. გოგოლი თავის მწერილებში არა ერთხელ სიამოვნებით იგონებს პუშკინისა და უკუკოსკეს სახელს, მათთან მეცნიერობას და იმ დიდ გველენას, რომელიც ამ მწერლებმა იქმნიეს მისი ნიჭის განვითარებაზედ.

გოგოლის მრავალ ნაწერებთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს:

„საღამოები დიკანების მახლობლად“, „ივანე კუპრის წინა ღამე“, „მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ წაიჩინა ბენე ივანე ივანეს ქედა და ივანე ნიკიფორ ქედა ქედა“ ამცელი დროის მემამულებები“, „ტარას ბულგა“, „ეტლი“, „შინელი“, „ცხვარი“, „ჩიჩიკოვის მოგზაურობა ან მკედარი სულები“, „ცალის შერთვა“, „რევიზორი“ და მრავალი კიდევ სხვა.

ყველა იმ ნაწერებში რუსულს ლიტერატურაში მოელი ქორე შეკვეთის. რუსული ლიტერატურა გოგოლის ნაწერების წყალობით განთავისუფლდა იმ ცრუ კლასიკურ მიმართულებისაგან, რომელიც გოგოლიმდის თითქმის ყოველ სფერაში ასე გაძირონებული იყო.

გოგოლმა და მისმა თანამდეროვე შეორე ნიკიტრმა მწერლომა პუშკინმა თავისი ნაწერებით რესულს ლიტერატურაში დაამკვრდრეს ის მიმართულება, რომელსაც რეალიზმის მიმართულება ეწოდება. გოგოლმა უწოდებას სინამდვილის ოვალით შეხედა და მკონხველს გაუთვალისწინა მხატვრულად ის, რაც მართლაც უწოდებაში ნამდვილად ხდება.




სიღრმე სიგანით გვითვალისწინებდნენ ამ ცხოვრების მთა-  
ტიურსა და საუკეთესო მხარეს.

გოგოლი-კი თავის ნაწერებში ყველა ამის არ დასჯერდა  
და ხელოვნურიად ფარდა ახალა ყველა იმ სისაძგლეს, სიღუ-  
ხკირეს, რომელსაც ფესვები ასე ღრმად ჰქონდა გადგმული  
საზოგადოებაში. გოგოლმა დამცინეოს, მაგრამ ამავე დროს  
მდუღარე ურემლების ფრქვევით და სიბრალულით, ხელოვ-  
ნურიად გამოაშეარია საზოგადოების სიმდაბლე, სისაძგლე და  
სიღუხკირე და აი, სწორეთ იმ მხრით გოგოლის ნიკი, მისი  
მდუღარების ქარცეცხლში გატარებული სიცილი მრავლად  
საგულისხმიერო და დიდწილენეროვანია.

გოგოლის ნაწერები უტყუარი და უმტკერო სარკეა საზო-  
გადოებრივ სინამდვილისა, და აი სწორეთ ექ არის დიადი  
მნიშვნელობა დიდებულ მწერლისა. დიდებულ მწერლის ნი-  
კი ერთი ორად უფრო ძლიერი იქნებოდა, მისი მნიშვნელო-  
ბა საზოგადოებისათვის ერთი ორად გამტკიცდებოდა, რომ  
მცხოვანი მწერალი სამშობლო ნიადაგს არ ჩამოსცილდებო-  
და, რომ თავისი უეჭველად დრადი ნიკის ნაწილმოები თავის  
სამშობლო უკრიონის ენისა და ლიტერატურის საშვალებით  
მიეძლენა საზოგადოებისათვის.

ა. გ.



# მითოლოგია

ტრადიცია

თმანობის დმურთა არესი ტრადიციებს ეხმანება.

ფროდიტა ქალღმერთის დაჭრის შემდეგ დიომედეის გა-  
ფრთრებული ლომივით თავს ესხმოდა დაჭრილ ენეასს,  
მაგრამ პოლონ ღმერთი იფარავდა ქალღმერთას დაჭრილ  
შეილს და დიომედესს ჩელს უშლიდა სამუდამოთ სიცოც-  
ხლეს გამოასალმებინა ენეასი. გააფრთრებული დიომედესი სამ-  
ჯერ თავს დაესხა ენეასს, მაგრამ პოლონ ღმერთმა გატიტ-  
ვლებული ხმლით ხელში სამჯერვე უკუ აგდო ელლინთა  
გმირი და ენეასი სიკვდილს გადაარჩინა. მაგრამ, როცა დი-  
ომედესმა განიზრახა მეოთხეჯერ ენეასის თავს დაცემა, პო-  
ლონ ღმერთმა მრისხან ებით შეცყვირა ელლინთა ძლევამო-  
სილს გმირს: უკარგად ჩაუფიქრდი, დიომედეს, შენს საქციელს!  
რას ჩადიხარ! გასწი ეხლავე და თავი დაანებე ენეასს! ვერა  
ხედავ, რომ შენ ენეასთან კი ორა გაქვს საქმე, ორამედ თევით  
უკუდავ ღმერთან! არ გაბედო მიიერიდან უკუდავ ღმერთებ-  
თან შებრძოლება, თუ არ გწადია სამუდამოთ სიცოცხლეს  
გამოესალმო! განა შენთვის სრულად ცხადი არ არის, რომ  
მომაკვდავებს ლონე არ შესწევთ გაუმჟღავდეს უკუდავ ღმერ-  
თებს და მათ წინააღმდეგ გაილაშეროს!“

ამ მრისხან ხიტყვების შემდეგ დიომედესმა დაუყონებ-  
ლივ თავი დაანება ენეასს და თავის თანამოძმებისაკენ გაე-  
მართა. დიომედესს კარგათ ახსოვდა ითინა ქალღმერთის გაფ-  
რთხილება უკუდავ ღმერთების წინააღმდეგ არ გაილაშერივ  
და კიდევაც ეს იყო მიზეზი, რომ ელლინთა ძლევამოსილმა-  
გმირმა წინააღმდეგობა არ გაუწია პოლონ ღმერთს.

დაჭრილი ენების აპოლონ ღმერთმა წილუვინა პერგამის წვერვალოზედ, საც იგი დააბინავი ტროადელების მრავალი სახელობაზედ იგებულს ტაძარში. აპოლონმა ენების გასაკურნებლად ჩააბარა ლეტასა და არტემიდას და თვითონ დაუყონებლივ ბრძოლის ველისაკენ გაემურა.

აპოლონ ღმერთი განსაკუთრებით მიიჩქაროდა ომიანობის ღმერთან მოსალაპარაკებლად. არესი ეხმარებოდა ბრძოლის დროს ხან ელლინთა რაზებს, ხან-კი ტროადელებისას, გამარჯვების ხან ერთ მხარეს არგუნებდა, ხან მეორე მხარეს.

აპოლონ ღმერთს არ მოსწონდა არესის ესეთი ორქოფობა და მოავლო მის თვალი თუ არა ბრძოლის ველზედ, შემდეგის სიტყვებით მიმართა: „ბრძოლის ველზედ სისხლის მოხეველო და მეომართა სიცოცხლის შეუბრალებლად გამომსალმებელო, დიდებულო არეს! განა მოსათმენია დიომედესის ამოდენი თავხელობა და აღვირ ახსნილი კადნიერება! ნუ თუ შენ შენს წმინდა მოვალეობად არ ჩასთვლი გააძვეო იგი ბრძოლის ველიდან და ბოლო მოუღო მის თავხელობას! ელლინთა თავხედი გმირი ისე გაკადნიერდა, რომ ღმერთებსაც-კი ომი გამოუტადა. გააფთრებული ლომიცით იგი თავს დაისხა თერთლიტა ქალლმერთს და თავისი ბასრი მხევილით დასკრა ხელში ქალლმერთი და ამნიორად დაანთხია ღვთაებრივი სისხლი ბრძოლის ველზედ.

თავხედი გმირი ჩემს წინააღმდეგაც არ შედრე, ოთხაერ ჩემს წინააღმდეგაც გამოილა შეკრა! საცაა, ეს წრეს გადასული გმირი ღმერთების მამათ-მთავარს ზევსაც ომს გამოუტადებს და მის წინააღმდეგაც გაილა შეკრებს! არეს! ელლინთა გმირის ესე გაკადნიერება შეუწყნარებელია, და ამიტომ შენი მოვალეობაა დიომედესი ალაგმო, დაუყონებლივ გააძვეო იგი ბრძოლის ველიდან“!

აპოლონ ღმერთის სიტყვებმა მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდენეს ომიანობის ღმერთზედ. არესმა ეხლა-კი გადაწყვეტა, რომ ტროადელებს დამარჯებოდა. განრისხებულმა ღმერთმა დაუყონებლივ მიიღო ტროადელების ერთ-ერთის სარდლის სახე ელვის სისწრაფით ჩერია ტროადელების რაზებთა შორის, და თვითონ ეულს მეომარს ამნევებდა მტრის საწინააღმდეგოთ. არესის გამნევებით ტროადელები თან-და-

თან უფრო მეტს ძალისა და სიმამაცეს იჩინდნენ. ელლინთა მეომრებიც არა ნაკლების სიმამაცით იბრძოდნენ - მათი ნარი დღები: აგამემნონი, დიომედესი, იანტი, ოდისევის და სხვები ელვის სისწრაფით დაჯეროლადნენ ბრძოლის ველზედ და იშვიათის თავგანწირულობით მტერზედ იერიში მიპქონდათ.

ბრძოლის ველი საშინელებას წარმოადგენდა. თავდავი-წყებული მეომრები აბობოქრებულ ზეირთებივით ერთი მეო-რეს ებლებოდნენ და უკანასკნელს სულის ამოსუნთქამდის იარაღს ხელს არ აშორებდნენ. ტროადელების რაზმებს წეუ-ლებრივ მთავარ სარდლობდა ძლევა მოსილი ჰექტორი, რომ-ლის გვერდით ლომივით გააფრთხებული ღმერთი არესი შეუ-ბრალებლად ისარს სტყორცნიდა მტრის შხარესაკენ და მოწი-ნააღმდეგ ელლინთა მეომრებს სიცოცხლეს ასალმებდა.

დიომედესმი მოჰკია თვალი თუ არა ჰექტორის გვერდით მეომარ არეს, დაუყონებლივ მიმართა თავის მევობარ ამ-ხნავებს შემდეგის სიტყვებით: „ნუ გივირსთ, რომ დღე გამიარჯვება ტროადელებს რჩებათ! ტროადელების რაზმებთა შორის თვით ომიანობის ღმერთი არესი მდეინვარებს და ჩენს წინააღმდეგ სტყორცნის შეუბრალებლად ისარს ისარზედ. სჯობს თავს უშველოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ტროადე-ლები დღეს არესის დახმარებით ერთიანად გავვანადგურებენ“! დიომედესის სიტყვებმა ელლინთა მთელ შედრობას თავზა-რი დასცა. აგამემნონის ძლევა მოსილი მხედრობა უკუ იქ-ცა. ტროადელები კვალ და კვალ გიმოუდგნენ უკუჩულ ელლინთა მხედრობას, რომელმაც დიდის განსაცდელისა და გაჭირვების შემდეგ ძლივსლა თავი შეაფარა ზღვაში მდგომ ხომალდებს.

ა. მიქაბერიძე



# ପାଶାରତଙ୍କବି

ଲିଲାଇ କପାଲାଳି ଶକ୍ତାଲତାଳି

ଗାଥିବାରିତ୍ୟରେ ଯିବିଧିରେ ଉଚ୍ଛାଲତାଳି, ଏବୁ ସବ୍ରାତାରୀରେ ଫୁଲି.  
ଗାଥାରୀରେ ତିଲିବିଶିଳେ ଖାଲି କ୍ଷେତ୍ର ଓ ବିଜନ୍ଦିତ ଫୁଲଗାନ୍ତି ବେଳି  
ତାରୀଖି: ଉଚ୍ଛାଲତାଳି ଗାଫରୀବା. ଶ୍ରେମିଲ୍ଲଙ୍ଘ ମିଳିତ କରିଲେଣିମେ ମା-  
ପୁରୀରେବେଳିବାନ ଓ ମନାକୁର୍ରେବେଳିବାନ କ୍ଷେତ୍ରରେ ରାନ୍ଦିଶାପର୍ମେଲିବା ଲିଲା.  
ଗାଥାରିଲ୍ଲଙ୍ଘରେ, କାଶିପୁର ଲିଲାରେ ହାକ୍ଷେତିଲିଲା ଓ ଲିଲାରେ ମାଗିବରୀରେ  
ଗାଥାରିଲ୍ଲଙ୍ଘ ଉଚ୍ଛାଲତାଳି ବିଶେଷ.

**ଅବସର:** ବେଳିରେ ଏକିନ୍ତରେ ଦରିଦ୍ର ଉଚ୍ଛାଲତାଳି ବାରମ୍ବି ଶ୍ରେଦ୍ଧ  
ଗାଫରୀମାଲିକ, ବେଳିରେ ବିନିନ୍ଦାରୀଙ୍କୁ ଉନ୍ଦା ଗନ୍ଧିନିଦ୍ଵାରା ରାନ୍ଦିଶାପର୍ମେଲିବା  
କ୍ଷେତ୍ର ମିକ୍କେରିବେଳିଲା ସବ୍ରାତା ମିଳିବାଗ୍ରେବେଳିଲା ଉଚ୍ଛାଲତାଳି.

ନ ମ ଦ ଶ ଶ ଠ






•10,



二〇〇三



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ



80-1 №-ზე გოთავსებულ გამოცანის აწენი:

რეპუსის ახსნა: — საქართველო არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს.

შარატის ახსნა: —ნიორი, იორი, ნორიო, ჩიონი.

1909 წელი  
სიმღერები

№ 3

# „ნაკაზული“

საყვაფვოლო სიმღერები

— — — — —

შედგუნილი შაქარია ფალიაშვილის მიერ



ტ ფ ი ლ ი ს ი

კლეიპერო-მბეჭდავი „მრობისა“, მოსკოვის ქ., № 5.

1909 წ.


სოლისი  
და გარების  
შეკვეთისა

„იზარდე მწვანე ქუჩალია“.

შეკვეთის  
ფორმის შეკვეთის  
იმპრესიული  
გიტარის მუსიკა

პირველ და  
მეორე ჩხა.

Moderato



Moderato

ფორმის  
ანთ.



1. ი - ზარ - ღე მწვა - ნე ჯე - ჯი - ღი  
3. ზე - ცამ გოგ - ზავ - ნოს ცეარ ნა - მი  
5. ი - მალლ - ღი თა - ვი და - ის - ხი



და - პერ - ღი გაბ - ღი ყა - ნა - ი ღე - ღი -  
მხედ ზე - ქი გფი - ნოს თა - ნა - ი ღე - ღი -  
ჯე - ჯი - ღი ნორ - ჩი ყა - ნა - ი ღე - ღი -



歌譜

3m!  
3m!  
3m!

2. o - კურ - ობიშ ისაზიანი 10133  
4. ქარ - მა გა - ლელ -  
6. o - მი - სი საწრ -

სი მარ - ჯვე - ნა ვინც გოე - სა მო -  
ერს ზღვა - სა - ეთ მწყრებ - მა მოგ - ძა -  
დო შე - იქ - მენ ვინც გოე - სა მო -

1., 2. V.

დასამთავ.

3. V.

გი - ყვე - ნა-ო დე ლა პო!  
ხორ ნა - ნა-ო დე-ლა პო!  
გი - ყვე - ნა-ო დე-ლა

პო!

1., 2. V.

დასამთავ.

3. V.

სიტყვები „ნათელას  
სიტყვები“ დაკისა.

„დელი და დელი და დელი“

ଶ୍ରୀକୃତି, ଯାହା  
ତା କାହାର ପିଲାଙ୍କ  
ଶ୍ରୀକୃତିଙ୍କ ଅନୁଭବମାତ୍ର ॥  
ଏହାକିମ୍ବାନ୍ତିରେ କାହା  
ଶ୍ରୀକୃତିଙ୍କ ଅନୁଭବମାତ୍ର  
ଦିନରେ ।

### Allegro con marciale

პირველი და  
მეორე წმია.

### Allegro con marciale

၁၃၈

ஏன்றுமொன  
பூ.

தெய்க்க வீ

வந்துக் கீ உந்தமல்

*mf* ஒ - லா ன - ஒ - லா

*mf*



3m = ~ 4m

ლո ռ - დე-ლა ა-ბა-დე ლი ռ-დე-ლი-ა ნა - ნი -

ნა.

1. ჩან-გურს სი-მე - ბი გა - კუ - ბი, მო-მარ-თე ნე -  
2. თა - ვის ჰან - გზედ, თა ვის ბმით წერთ-ა-ლობს ქრ-

3m = ~ 4m

ლა ნე-ლა - ռ; ა-ბა დე ლი რ-დე-ლი-ა ნა - ნი -  
თად ყვე ლა - ი!

6! ჟე-ვუ-ხმა ტები-ლე ერთ-მა-ნერთს ო-დე-ლა-ლა  
ერთ-თო მე-ო-რის თან-ხმო-ბრთ ო-დე-ლა-ლა-

The score consists of three staves. The top staff is soprano, the middle staff is alto, and the bottom staff is basso continuo. The vocal parts sing in homophony. The basso continuo part includes a bassoon line and a cello line.

ლა დე-ლა-ლა ა-მა დე-ლი ლა-დე-ლი-ა ნა - ნი -  
ლა დე-ლა-ლა

This section continues the musical piece, maintaining the three-staff format (soprano, alto, basso continuo) and the homophony of the vocal parts.

1. 2. 3. volti 8 v. დასამთავრებლად.  
6! 3m!

1. 2. 3. volti 8 v. დასამთავრებლად.

This final section includes a dynamic marking 'p' (piano) over the basso continuo staff.

06.10.1953 පො  
සංස්කරණය කළේ

rall.

ఎ. క్రీడలు కొని సిద్ధాంతాన్ని ప్రాచీన సిద్ధాంతాన్ని లేదా అంతర్జాతీయ సిద్ధాంతాన్ని వివరించాలి...

პნელში რა სასიმჯუროა

ორეგონის დეპლატინის მიზანი

Digitized by srujanika@gmail.com

ତାରିଖ... ମେଲାନିଶିଳ୍ପିମାତ୍ର|...

କେବଳ ଏହାର ପରିମାଣରେ ଅନୁରୋଧ କରାଯାଇଛି।

କେବଳ ଏହା କିମ୍ବା ଏହାର ପରିମାଣ ଅନୁରୋଧ କରିବାକୁ ପାଇଁ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ।

卷之三

7. კურთობა ჩვეულების ტახტით.

ବ୍ୟାଗର୍ମ୍ସ „ଶ୍ଵର ଲୋକ“<sup>6</sup> ପାଇଲାଗିଲାତା

ରେ ହେଉ ପ୍ରତିକାଳର ଅନ୍ଧାରରେ

ପ୍ରଦିଗିତ ଅନେକିତାମାତ୍ରା..

Digitized by srujanika@gmail.com

କୁଳ ପାଦରୀ... କୁଳପ  
ନନ୍ଦମୁଖୀ ମହିଳା ନନ୍ଦମୁଖୀ

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრიმდეს.

საემაწვილო სურათებიანი ქურნალის გამოცემა

# ნაკაღლი

(წელიწადი მეტეთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ქურნალი „ნაკაღლი“  
ლი „ მცირე წლივანთათვის.

**12** წიგნი ქურნალი „ნაკაღლი“  
მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ.  
„რას გვიაშბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ეკურნალის სედმიძღვანელობის უწევს საბანგებოდ არჩევით სარედაქტო  
კომიტეთისად.

ფასი ეკურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.  
სამზღვარ გარედ: წლიურად შეიღი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.  
მცირე წლივანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12  
წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა შეიღება. წლიურად და ნახევარი წლით.  
ფულის შემთხვევა შეიტანება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკაღლის“ რედაქტორი, გოლოვინის პროსპ., ზუბალო-  
ვის სახლი., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშებათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხების გამაცრელებელ საზოგადოების წიგნის მაღა-  
ზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი  
ქურნალისა დამატებით, ესე იგი ვნ წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკაღლის რედაქცია სთხოვს ხელის-მოწერთ:

ვისაც ქურნალის ნომრები დაკლდება, მიმართონ აგენტს ანუ  
რედაქტორს, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვოხოვთ გარკვევით  
და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თაგ. პ. ი. თუმანიშვილი.